

ჟინაური საქმეები.

⇒ ურველ-კვირული გაზეთი ⇐

№ 4-5.

ფასი ერთი რაზრი

წლიური ფასი 4 რან.

წელიწადი მუხუთე.

კვირა, 12 თებერვალი 1912 წელი.



დეკანოზი რომანოზ დეკანოსიძე.

გამკე და მხრუწველი ხარკოულის ორ-კლასის მკლადის, რომელსაც 14,000 მანეთის ქანუბა შესწირა.

ჟ. ჟუთაისი, 12 თებერვალი.

ყოვლადსამღვდელო ლეონიდეს გადაყვანის შესახებ გაზეთებისგან გავრცელებულმა ხმებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში, ჯერ გაუგებარი იყო მისი ანაზღაურებით იმერეთიდან გადაყვანა და ეხლა სულ გაუგებარია, ვის რათ დასჭირვებია მისი მგერელიდან დაძვრა, ვის რას უშავებს, გარდა იმისა, რომ, როგორც ნამდვილ მწყესტ-მთავარს შეფერის, თავს დასტრიალებს თავის სამწყსოს. ეს სამი წელიწადია, რაც იგი გურია-სამეგრელოში მსახურებს და მისი ფეხი არ შემდგარა მოგზაურობისაგან, არ დარჩენილა ერთი თვით უმნიშვნელო ეკლესიაც, სადაც მისი მეუფება არ მისულიყოს და თავის მღვდელ-მთავრული ლოცვა-კურთხევა არ დაეტოვოს და ბრძნული ადგილის და დროის შესაფერი განკარგულება არ მოეხდინოს. ვინც მისი მეუფების გურიაში მოგზაურობას თვალ-ყურს ადევნებდა, დარწმუნებული იქნება, თუ რა დიდი გავლენა იქონია გურულებზე ამ მოგზაურობამ. „რომ აღრე ვაგვეგონა შენი ქადაგება, იქნებ სარწმუნოებას მაინც შევინარჩუნებდით ამ მოძრაობის დროსაო“, ხშირათ ეუბნებოდნენ მის მეუფებას გურულების წარმომადგენლები. ასეთი მოღვაწეობისათვის სხვა დროს ჯილდოს ჯილდოზე იძლეოდნენ და დღეს კი ამის მაგიერ გადაყვანას, უფრო დაახლოვებით რომ ვსთქვათ, სამშობლოდან გაძევებას უპირებენ. მაგრამ ჩვენ არ გვჯერა ეს ამბავი, ჩვენ გვგონია მხოლოდ უსაფუძვლო ხმებია გაზეთებისგან გავრცელებული, და თუ ამ ხმებს რაიმე საბუთი აქვს, უნდა ვიფიქროთ, პირადი ანგარიშებისგან არის გამოწვეული და სრულიადაც უმაღლესი სასულიერო მთავრობის აზრი არ არის. თუ ქართველს ქართვე-

ლი ეპისკოპოსი უნდა ყავდეს, და ამის წინააღმდეგი არ შეიძლება იყოს სინოდი, ყოვლადსამღვდელო ლეონიდეს თავის ადგილზე და მადლობის ღირსია იმ შრომისა და რუღუნებისათვის, რომელსაც იგი ეწევა სამწყსოს ზნეობა-სარწმუნოების მხრით აღზრდისა და განმტკიცებისათვის. მართალია, შეიძლება ბევრი კმაყოფილი არ იყოს მისი მეუფების განკარგულებით და კიდევ ბევრი უჩიოდეს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი თავის ადგილზე არ არის. ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთი საჩივრები ნეტარ-ხსენებულ ყოვლადსამღვდელო გაბრიელზედაც მიდიოდა. კარგათ ვიცით, რა ნიადაგის შეიღებიც არიან ასეთი საჩივრები. ნუ შევხები სხვის ზნეობრივ წვირებს, ნუ განიზრახავ მის განბანა-განწმენდას, დაე იცურვოს უზნეობის წუმბეში, თუ გინდა რომ მომჩივნები არ გყავდეს; თუ გინდა რომ ხელით გატარონ, ნუ მიაქცევ ყურადღებას და გულ-გრილათ უყურე ყოველგვარ სისაძაგლეს, შემთხვევის დროს დააჯილდოვე კიდევ აშკარა უარყოფელი ყოველივე სარწმუნოებისა და ზნეობისა, აბა მაშინ ნახე თუ ვინმე გიჩივლოს, თუ ვინმე ძრახი გაგაგონოს. ასეა ყველგან, ასე ხდება აქაც. ჩვენ ქართველ ქორეპისკოპოსებზე ერთი საჩივარიც არ გაგონილა და ეს იმის მაჩვენებელია, რომ მათ არ უხდებათ ხალხში მოქმედება. ვინ ან რისთვის უნდა აუჩივლდეს კარჩაკეტილ კაცს, რომელსაც ქვეყანასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს?

ასეა თუ ისე ეს ხმები ცუდათ მოქმედებენ მორწმუნე საზოგადოებაზე და უნდა ვიფიქროთ, ყოვლადსამღვდელო ლეონიდესედაც, რომელიც მათი მეოხებით უთუოდ მოკლებულია სულიერ მშვიდობას, რაც ასე საჭიროა მისი მსახურებისათვის. გაზეთებიც და-

ლიან ფრთხილათ უნდა იყვნენ ასეთი ხმების გადმოცემაში. ყველაფერი შეიძლება სახუმაროთ გადააქციოს კაცმა, ხოლო ხალხის სარწმუნოებრივ გრძნობას, რომელთანაც ახლოს სდგას მწყევსმთავარი, როგორც სულიერი მეუფე და წარმომადგენელი სარწმუნოებისა, ფრთხილად უნდა მოვეპყრათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ან სულ ჩავაქრობთ ამ სარწმუნოებას და ან ფანატიკურ ხასიათს მივსცემთ, რაც არავისთვის სასარგებლო არ გამოდგება.

სალონის ეკლესია.

დღემდის საზოგადოთ ცნობილ ფაქტათ იყო მიჩნეული, რომ საერო მთავრობამ დაიმონა ეკლესია.

ამ ფაქტს სხვადასხვა ნაირათ აფასებდენ: ზოგი ხედავდა მასში მთელი ჩვენი ეკლესიის უბედურების მიზეზს, სხვები კი წინააღმდეგ — „მართლმადიდებლობის გამარჯვების მყარ საფუძველს“.

გარნა ეკლესიის სახელმწიფოსაგან პირდაპირ და სრულ დამოკიდებულებას არავინ უარყოფდა.

და აი სწორეთ ამისთვის, როცა გერმოგენმა ასეთი თავ გამოდებით ხმა ამოიღო ეკლესიის სახელმწიფოებრიობის ბორკილებისაგან **განთავისუფლებაზე** მას, დაუჯერეს და ისე გაიგეს მისი მოქმედება, რა აზრსაც აძლევენ მსგავს განცხადებას: უნდა გავათავისუფლოთ ეკლესია, გავხადოთ იგი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი.

მაგრამ საგნის ახლო დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ ასეთი აზრი გერმოგენის მოქმედების შესახებ გაუგებრობაზეა დამყარებული.

მართლაც და გერმოგენი ხომ სარწმუნოებაში პოლიტიკის ჩარევის ერთი მოციქულთაგანია. ვანა იგი არ იყო, რომ ილიოდორთან ერთად დაუღალავათ ცთილობდა რომ სამღვდელეობა „რუსთა კავშირში“ ჩაება და

ილიოდორეც ხომ „კავშირის“ ცარიცინის განყოფილების თავმჯდომარეთ ითვლება.

ხოლო თუ ეს ასეა, ცხადი არ არის, რომ იგინი კანონიერათ სცნობენ ეკლესიის კავშირს სახელმწიფოსთან, პოლიტიკასთან? და თუ იგინი უკმაყოფილონი არიან ამით, ეს უკმაყოფილება შედეგია არა **კავშირისა**, არამედ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთ შორის დამოკიდებულობისა. ებ. გერმოგენს და მ. ილიოდორეს სურვილია, რომ **სახელმწიფო ემორჩილებოდეს ეკლესიას და არა ეკლესია სახელმწიფოს**. ე, ი, იგივე სწავლიათ, რაც საზოგადოთ ყველა ქვბუცების კლერიკალებს!

მაგრამ ამ ბრძოლაში, — არა ეკლესიის თავისუფლებისათვის, არამედ ეკლესიის მთავრობის მოყვარეობისათვის, — უმთავრესი ის კი არ არის, რაც აშკარადება „ჩვენ საეკლესიო საქმეებში“ მებრძოლ მხარეთა სურვილის წინააღმდეგ.

სახელდობრ: განცვიფრებულ რუსის საზოგადოების წინაშე განშიშვლდა ეკლესიის „შენაცვლება“ (ПОДМЪНА).

აღმოჩნდა, რომ უმაღლესი ეკლესიური ორგანიზაცია მხოლოდ დეკორაციაა, ზედა პირია, ხოლო ამ დეკორაციის უკან ბიუროკრატიული ეკლესია კი არ არის, როგორც მიღებულია ამაზე ფიქრი, არამედ სალონის ეკლესიაა.

„ობერპროკურორები ისე გადადიან, როგორც აჩრდილი“, მწუხარებით განაცხადა საბლერმა,

დას, ჩვენ ვიცოდით ეს გარემოება, მაგრამ მივეჩვიეთ ფიქრს, რომ ეს აჩრდილები მასპინძლები არიან ჩვენ უმაღლეს საეკლესიო მართველობაში. ჩვენ ვხედავდით მათში საერო მართებლობის წარმომადგენლებს, რომლებიც თაობენ მართლმადიდებელ ეკლესიას.

ახლა, როგორც სჩანს, თითოეული პეტერბურგელი გრაფინია პატარა ობერპროკურორია და რომ ამ შემკრებლობით ობერპროკურორს ეკუთვნის ხელმძღვანელობა ეკლესიაში.

მსოფლიო კრებების კანონებში ნათქვამია რომ ეპისკოპოსი, რომელიც „საერო უფროსებს ხმარობს“ თავის თანამდებობის მისაღწევ საშუალებათ, უნდა განვარდესო, მაგრამ კრებებს არაფერი უთქვამთ იმათზე, ვინც ეპისკოპოსობის ხარისხის მისაღწევათ ქალების გავლენით სარგებლობენ და არც შეეძლოთ ეთქვათ, რადგან მაშინ ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო. ბერებს აღკრძალული აქვთ ქალებთან მუსაიფი. მაგრამ ჩვენი ბერ-ეპისკოპოსებით სავსეა პეტერბურგის სალონები და იქიდან ლებულობენ ბრძანებას თავის მწყესთ-მთავრული სამსახურის შესრულების შესახებ.

რა ამბავია ეს? რა სალონის ეკლესიაა ეს? რა სურთ ყველა ამ გადაბერებულ გრაფინიებ-ვენატივეებს და ლახტინებს? რა ეკლესიური ორგანიზაცია უნდათ შექმნან ჩვენ ახალ „საეკლესიო მანდილოსნებს“?

არ ვიცი, — მე შეურიგებელი მტერი ვარ ეკლესიის კავშირისა სახელმწიფოსთან, — მაგრამ რომ მკითხონ, რა უკეთესია: წინანდელი წესწყობილება, როცა სინოდს მიერეკებოდა საერო მთავრობის წარმომადგენელი, თუ ახალი, როცა სინოდს ერეკება ღვთის მოყვარე ქალბატონები, — ღმერთმანი მე ისევ ძველს ვარჩევდი. „სალონის ეკლესია“ — ეს უფრო დიდი დაცემაა, ვიდრე ბიუროკრატიის ეკლესია.

(Y. P. 1912 № 24).

ახალმოდის ცოლ-ქმრობა

მეუღლეობა, გინდა ცოლ-ქმრობა დასაბამიდან ადამიანის გაჩენისა ღვთისა მიერ კურთხეული საგანია, რომლის კავშირით არსებობს ოჯახში ბედნიერება. ეს კავშირი ცხოვრების ყველა სხვა მიმდინარე დამოკიდებულების უმაღლესი კავშირია, მით რომ ამაზეა დამოკიდებული ოჯახის ბედნიერება და შვილთა დღეკეთილობა. საუბედუროდ ჩვენდა, ახალი მესიები რომ მოველინა ქვეყანას, ამათ ახალი საუკუნე ახალი ქვეყანა და ახალი სჯული შექმნეს. სჯული მეთქი, რათა ბიწი არა შეეხოს წმიდა

სჯულს, სჯული კი არა ღალატი წმიდა სჯულისა, ღალატი ოჯახისა, ღალატი მეუღლეობისა და შვილთა კეთილ-დღეობისა, და ნაცვლად ერთ წმიდა კავშირისა არაწმიდებით მრავალთათვის წითელ კვერცხივით: საცვალ საბიწიერო მეუღლეობა შემოიღეს, რომლის წყალობით განქორწინება და ქორწინება ხელის ჩამორთმევაა და მეტი არაფერი.

გონიერება ითხოვს, ადამიანმა ცხოვრებაში ჩაიხედოს და წინ-დახედულობა დღე-კეთილობისა არ შესწიროს საცთურებით სავსე მადს. გონიერება წამ-და-უწუმ გულთა ფრენის ნიავთ ქროლის არ უნდა ემონებოდეს, თორემ კაცურ დიდ-სულოვნებას დაკარგავს და მის ღირსეულობას დათრგუნავს და მხროლოთ ღორებრივად წუმპეში ეძებდეს იქნება მის საგემოვნო საზრდოს.

გონიერების საზრდო სიბრძნეა და არა გულის თქმა, გონიერების შევნიერება სიბრძნის ტრფიანობაა და არა წარმავალ შევნიერებისა და დროებითი გემოსი. ბრძნეთა საქმე ცხოვრების ამალღებაა; ცხოვრების გასაჩოთხებისათვის ბრძნულ კანონ-მდებლობის პირობებში უნდა ქმნიდეს საკაცობრიო სამყო მტკიცე ნიადგს და არა პირად სიამოვნებათა თამაშობას. დიად, მხოლოდ პირადი წუთიერ გემოვნებათა თამაშობაა დღევანდელი ახალ-მოდის ცოლ-ქმრობა, ხან ერთთან, ხან მეორესთან, ხან მესამე — მეოთხესთან სათვეო თუ წლიურ თამაშობით ღირწობა, უსჯულოება, არაწმიდება და უმტკიც სიყვარულის სიბოროტით ფარფაშობა. ვეალად ვიტყვი, გონიერება არ არის, რომ კერძო თვალთა სიამოვნებას და გემოვნებას-კაცმა მრავალ-მოყვასთა სიციცხლე და ბედნიერება შესწიროს. ბრძნის საქმეა, რა იგი მას არ უნდა, სხვას არ უყოს. მაშ რა ვუწოდოთ იმ ადამიანს, რომელიც ერთის შეყვარებულს მეორე რომ ითვისებს, გინა ერთის შეყვარებით მეორეს რომ კლავს? ვანა ვანათლებამ ადამიანების წამებას უნდა შეასხას ფრთები?!

ადამიანი თავისუფალიაო გაიძახიან და სჯულით შეკერა წინააღმდეგიაო. მხოლოდ

სინილისი არის ჩვენი ღირსეულება და სჯულ-ლიო. კარგი, ბატონებო, მაგრამ თავისუფლება და სინილისის საყდარი განა სხვისი საყვარელ პირის მითვისებას და მის ძლით ძმის შეწუხებას ქადაგებს? მართალია თავისუფლება გაქვს, მაგრამ ეგ შენი საკუთრების და არა ძმის საწინააღმდეგოდ, იმ ძმის, რომელსაც მისი თავისუფლებაც ხელ-შეუხებლად უნდა და ითხოვს შენგანაც ხელი არ შეახო. განა ძმის ასეთი აზრი თავისუფლების ქეშმარიტება და სინილისის სპეტაკი აზროვნება არ არის? ხოლო შენი მოქმედება ძმის საყვარელ პირის გადაბირება-მითვისებით არის ძმის მკვლელობა, მისი თავისუფლების დათრგუნვა და შენი სინილისის შეგინება.

არის აზრი, თუ ერთმანეთი სძულს ცოლ-ქმარს, მაშინ შეუძლებელია ცხოვრება ერთადო. ცოლ-ქმარს სიყვარული აერთებს და თუ ეს სიყვარული გაქრა, ვინც უყვარს იმას შეეუღლოსო. მაგრამ თუ ერთხელ შეეუღლე და თუ ეს სიყვარული ცბიერი არ იყო, მერე რამ უნდა განგაშოროს ამ სიყვარულისგან? ერთხელ შეყვარებული პირი რაიმე უკმაყოფილებისგამო რომ დასტოვო და მეორე შეიყვარო, ეგებ მასთანაც შეგხვდეთ უკმაყოფილება-სიძულილი და სინამდის უნდა იარო ასე? არა, ეს სიყვარული კი არ იქნება; არამედ სიყვარულის ლაღატი. ქეშმარიტი სიყვარული დროებით შემოსულს სიძულილს აღმოფხვრის. „სიყვარული სულ-გრძელ არს და ტკბილ, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, ყოველსავე თავსიდებნ. ყოველსა მოითმენ, სიყვარული არა სადა დავარდებს“ (1 კორ. 13).

დამიგდე ყური, ყმაწვილო! დღეს ყმაწვილობის სინაზე და დაუქნობელი ხორცის ფე-როვნება გამშვენებს და როგორც მაისის ვარდს სურნელად გიყნოსებენ, მაგრამ ავერ სიბერის ხანმა საღამო გიძღვნა, მაშინ შენი პატრონი და ერთგული მომელელი ვინ გეგულება, რადგან ცოლ-ქმარობა საგულისთქმოდ მხოლოდ დაარსე და აწ შენ მრავალთა მიერ გამოც-ვლილ მოხუცს არაფერ შეგიყვარებს და არც ვულ-ტყენულად მოვივლის? ან ეთქვათ

შენი სიყმაწვილის დროსაც შეგეყარა რამე მძიმე სნეულება, რა ნაირი სიყვარული იქნება შენმა შეყვარებულმა შეუღლებ შენგან ქადაგე-ბული „თავისუფალი სიყვარული“ აირჩი-ოს, სხვას გაყვეს და შენ გაგხადოს მსხვერპლად უპატრონოდ დავარდნისა? არა, ქეშმარიტი მოსიყვარულე შეუღლენი საფლავამდე მტკიცე კავშირით საერთო ტანჯვა-სიხარულის უღელს წევენ.

ახალმოდის ცოლებს რა ნიადაგი ექნება ოჯახის საქმეში? იმ ოჯახში, სადაც სიკვდი-ლამდე დარჩენის აღთქმა ზღვაში გადაუგდია და სახლის კარებზე წაუწერია: თავისუფალი ხარ, სინილისმა თუ გირჩიოს, სხვასთან იხარე! მე-რე როგორი დროის სინილისი? სინილისზე საქმის მინდობა მაშინ ღირს, როცა ღმერთი მართავს სინილისს და მასზედ აქვს ადამიანს დამოკიდე-ბულება ცხონების და წარწყმედისა. ასეთი ღვთისაგან დამოკიდებულებისგამო იგივე ღვ-თიური სჯული არის სინილისი. ასეთი სინილისი განა იპოვება ახალ-მოდის ახალგაზდა ცოლ-ქმარებში, რომელთა სინილისს ღმერთთან არა აქვს დამოკიდებულება და არცა ღმერთი მარ-თავს მათ, არამედ პირუტყული თავისუფლება წყალ-წალბულად ამეფებს მათ? დაუკვირებლად თუ მივიღებთ, „ყოველივე ჯერ არს ჩვენდა“, მაგრამ როცა დაუკვირდებით, „არა ყოველივე უმჯობეს არს“. ჯერ ერთი ახალ-გაზდობა... მერე ასეთი თავისუფლება... და ამის შემდეგ ოჯახის ერთგული დედობა, განა მოეთხოვება გულ-მფრინავ ახალ-გაზდა სასძლოებს?! განა იკადრებენ და მოიცილიან შეილების აღზრდის და ოჯახის ტვირთის თავსდებად? არა. წუ-თიერ სიამოვნების მიმდევარი ერთგულ ოჯახის წევრობას ვერ გასწევს და ამგვარად შეილების უყვარული და ოჯახობათა წმიდა კრებულო-ბის დამრღვევი ადამიანები კიდევაც ოცნებობენ „საერთო პანდუქსიონში, ზოგად პანსიონში ბავშვთა აღზრდაზე“.

ძიძაობა ხომ ახლაც არის მიღებული და საზოგადოდ ძიძაობას რა მიზეზი აქვსო. და მერე ვინ სთქვა, რომ დღევანდელი ძიძაობა თვინიერ აუცილებელ, პატივ-საღებ მიზეზისა,

დედა-შვილურ სიყვარულის დაქინება, დამკობრა არ იყო? დედის მკერდის და ოჯახის აღერსის მოცილება. გაგულქვაებას უფრო შეუწყობს ხელს, ვიდრე სიყვარულს, უცხო ხელები ვერასოდეს ვერ გასწევენ მშობლურ ხელების მაგიერობას. უცხო ქვეყნებში „საუცხოვო აზრები“ იბადება, მაგრამ ჩვენთვის ხომ ყველაფერი კარგია, რაც უცხოეთიდანაა შემოტანილი! ზემო დახასიათებულ დედების და მამების გულის სათქმელ თავისუფლების წყალობით ოჯახები ისობა და ცხოვრების უძირო მღელვარე ზღვაში უზომოდ მოტყუარავენი მწარე ტალღების ცემით მოიშთვიან. ვაი რა საშწუნაროა მშობლებისგან ასეთი ბუნების წესთა უცნობელობა, საღრმეთო საზღვარდებულებათა დარღვევა, ადამიანურ პატიოსნების, ზნეობის და ნეტარების დაკარგვა და საერთო ზოგად ბედნიერებისკენ წინსვლის ნაცვლად ველურ ხალხოსნობისკენ გადაქანება მსოფლიო ცხოვრების ჩარხისა! მოვედით, კურთხეულნო მუდლნო, თქვენ, რომელნიც ხართ შვილნი ეკლესიისანი განმტკიცდით ცოლქმრობის მაღლიან კავშირით, იცანით საღმრთო სჯულისდება, რომ შვილთა შობისათვის და ურთერთ სიყვარულით ოჯახურ საქმეთა დახმარება-მოვლისათვის ურთიერთისა შეგაუღლათ ღმერთმან და არა გულის თქმის მიდევნებით შეძაბისათვის. „წმიდა არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელი“, ხმობს წმიდა ეკლესია. წმიდა საქმეა გვირგვინის კურთხევა იმ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის ერთგულებასა და სიყვარულს საფლავის კარამდე მტკიცედ დაიცავთ. ამას ქვია საწოლი შეუგინებელი. ასეთი მუდლეობა, როგორც პირადად თავიანთ თავისა და ოჯახისა არის ბედნიერება და ნათელი, აგრეთვე საზოგადოდ საზოგადო უყენებლობით ყველასათვის ნათელ-მყოფელი კავშირია.

ალექსი ბერა.

ყოველდღისადაც დედო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალიერებლად.

სამეგრელოს სამრევლო ეკლესიების დიდ ნაწილს ყოველდღისადაც დედო ლეონიდი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში თავის გადმოსვლის პირველსავე წლებში გაეცნო. ძალიან საშწუნაროა, რომ მისი მეუფების პირველი მოგზაურობა ოდიშში, არ იქმნა დაწვრილებით აწერილი. ეს დიდი დასაკლისია ყველასთვის და კერძოთ კი ადგილობრივი სამღვდლოებისთვის, რადგანაც მისი მეუფების მოგზაურობა ცხადთ უჩვენებს სამღვდლოებას, რას უნდა არიგებდეს იგი ხალხში, რა საშუალებით უნდა ახორციელებდეს სულიერ მოძღვრებას და რა ძალამ უნდა შეუნახოს მას სამწყსოში სათანადო პატივისცემა და თანაგრძნობა.

სამაგიეროდ, სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ოდიშის ყველა ეკლესია, რომლებიც კი ყოველდღისადაც დაათვალიერა წინა წლებში, დღეს სიამოვნებით ავსებენ მნახველების გულს: არ დარჩა ისეთი ეკლესია, რომ მრევლს არ შეეღებოს მოხდენილი წამლებით შიგნით და გარეთ, არ გაემშვენებინოს ფართო კარ-ფანჯარებით, არ შემოველოს გარეშემო მოხდენილი აივანი დუღაბის იატაკით, არ გადაეხუროს თუნუქით ან კრამიტ-ყავრით, არ შეემკოთ ღირსეული მხატვრობით, საეკლესიო ნივთებით, წიგნებით, შესამოსლებით და სხ.

მრევლი, მაყურებელი თავის ეკლესიის გაბრწყინებული მღვდლობისა, თითონაც ხარობს, თავმომწონეობს და მეტი ხალხით, მეტი გულსმოდგინებით ესწრება კვირა უქმეში წირვა-ლოცვას. ზოგან მრევლმა გალობის მასწავლებლებიც კი მიიწვიეს და მეცადინეობენ, რომ თითონ შესწავლონ საეკლესიო ვალობა, რომ შემდეგში ყოველ წირვა-ლოცვის დროს თავისი მეზობლები დაატკბონ ღმობიერი გალობით.

გარიგებული საქმე ყველასთვის ცხადყოფს, რომ მღვდლომთავრის მაღლიანი სიტ-

ყვა „დაჰვარდა ქვეყანასა კეთილსა, და აღმოცნდა და ჰყო ნაყოფი ასი წილი“.

ამ ხელად ჩვენი განზრახვა აღწეროთ, რამდენათაც შეგვეძლება, დაწერილებით ოდიშის სამრევლოების მიმოხილვა, რომელიც მოახდინა მისმა მეუფებამ 1911 წელს ზაფხულში.

დღიდან სამღვდელმთავრო კათედრის დარსებისა ქ. ფოთში, წესად დადებულა, რომ გურია-სამეგრელოს მამათმთავრები ზაფხულს ატარებდნენ მარტვილის მონასტერში. რასაკვირველია, ყოვლადსამღვდელო ლეონიდიც სარგებლობს მიღებული წესით და ზაფხულობით გადასახლდება ხოლმე მარტვილში. მარტვილში გაატარა მან წარსული ზაფხულიც და ამიტომ მარტვილის მონასტრიდამ მოუხდა გამგზავრება ეკლესიების დასახედავად.

შაბათს ივლისის 23, ყოვლადსამღვდელო მიბრძანდა თეკლათის*) დედათა მონასტერში. აქ მისმა მეუფებამ 24 ივლისს სწირა და წირვაზედ აღიყვანა ილუმენიის ხარისხზე წინამძღვარი ხსენებული მონასტრისა მონაზონი დედანინო. იშვიათმა შემთხვევამ დიდძალი ხალხი მოიხიდა ოდიშ-მეგრეთიდან. მიუხედავად კოკის-პირული წვიმისა, ტევა აღარ იყო მლოცველებისაგან მონასტრის ვეებერთელა ეკლესიაში.

წირვის შემდეგ, რომელმაც ნაშუადღევს ორ საათამდე გასტანა, რადგანაც წირვას ოდიკების მეტად გრძელი და რთული კურთხევა დევნებდა, ყოვლადსამღვდელომ გარდასცა ახლად ნაკურთხ ილუმენიას საწინამძღვრო კვერთხი და მიმართა მას მეტათ აზრიანი და გრძობიერი სიტყვით.**)

ივლისის ოცდა ხუთი მღვდელმთავარმა მოანდომა მონასტრის ზინაური საქმეების განხილვის და ოცდაექვსს, ნაშუადღევს, რადგანაც დიდი ტალახის გამო შეუძლებელი გახდა ფაიტონის შოვნა, მეფე ერეკლეს ეტლით გამოემგზავრა ახალ სენაკს.

*) ეს წოდება წარმოსდგება წმ. მოწამე თეკლას სახელიდან, ალბათ ძველათ ამ წმინდანის ეკლესია იყო.
**) იხ. „ზინ. საქმეები“ № 22 - 1911 წ.

ოცდაშვიდიდან დაწყებულ იქმნა ძველი სენაკის საბლალაჩინო ოლქის ეკლესიების განხილვა, თუმცა ამ დღესაც ჰსწვიმდა, მაგრამ მაინც ხუთი ეკლესიის დათვალიერება მოასწრო: ქვედა შხეფისა**) ზედა შხეფისა, მესამე შხეფისა, ძველი სენაკისა და სორდისა***).

ქვედა შხეფის მთავარ-აგელოზის ეკლესია სულ ახლათაა აშენებული. რამდენიმე თვის წინათ დათვალიერებისა ახალი ეკლესიის ადგილზე იდგა ერთი უშნო, დაფხავებული, დამპალი და დაბრეცილი, ფანჯრებჩალეწილი უხერიო ღუქნის მსგავსი, ხის შენობა. ჩემმა მგზავრმა დარაჯმა მიამბო, რომ ამ ეკლესიის გარეგნობამ არეულობის დროს სენაკიდან მომავალი მთვრალი კახაკი რუსები შეცთომამში შეიყვანა, ღუქანი ჰგონებოდათ, მისდგომოდნენ კარებს და ურახუნებით ყვირილით: „ეი, კაცო, ოტვორი დვერი, ვოდკუ ხოტიმო“, მაგრამ, ვინ გაუღებდა კარს? გაბრაზებულებს ჩემტვრიათ სარკმელის მინები და გასდგომოდნენ გზას, ცოცხლების და მკვდრების თავიანთებური ლოცვა-კურთხევით.

ქვედა შხეფის ეკლესია გაშტატდა ბოლო ხანებში; ხალხმა სამღვდელო კანდიდატათ აირჩია ბ. ევსევი ხოფერია, რომელიც ოცი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა სახალხო სკოლებში. ყოვლადსამღვდელომ დაიბარა ბ. ხოფერია და კატეგორულად გაუცხადა: გადაეცით მრევლს, რომ სინამ ახალ ეკლესიას არ ააშენებენ, მე მათ მღვდელს ვერ უკურთხებო. გასტრა ამ ბრძანებამ და სულ მოკლე ხანში უცბათ აშენდა აგურის შენობა, რომელიც დღეს კობტათ გამოიყურება ახლად შემორაგულ სწორე და ფართო ეზოდან.

ეკლესიის შინაგან მოწყობილებას ძალიან ბევრი სამკაულები აკლია და ყოვლადსამღვდელომ დაავალა მრევლს ამავების შექმნა. ეკლესიურ სამკაულთ შორის აღსანიშნავია მშვენიერი ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი, ცნობილი კ. პობედონოსკოვისაგან შეწირული. გაათავა

**) შხეფი, შხები, შხაქუნა, ანუ წყლის ნაჩხრევი.
***) სორდა---ხადა, საით.

მღვდელთმთავარმა ეკლესიის დათვალიერება და მრევლი დამოძღვრა შემდეგი სიტყვით:

ღვთის მადლსა და კურთხევას მოგიძღვნით ყველას, ჩემო ძვირფასო სულიერო შვილებო.

თქვენს სოფელს სულიერ მკველად, პატრონად და მფარველად ჰყოლია მთავარანგელოზნი მიქელ-გაბრიელი. ეს დიდი ბედნიერებაა თქვენთვის, რადგანაც ცოდნა და რწმენა იმისი, რომ ანგელოზები არსებობენ, მეტად ამხნევენს, დიდად ანუგეშებს და ზნეობრივ სიმტკიცეს აძლევს მორწმუნე ადამიანს.

ანგელოზი უხორცო, უსხეულო, სულიერი არსებაა. ანგელოზები, როგორც ყველაფერი ქვეყანაზე, ღვთის ქმნილებები არიან, მათი რიცხვი, მათი რაოდენობა უსაზღვრო, აუარებელი და უთვალავია. ძალით, გონებით, პატიოსნებით და სიწმინდით ანგელოზები გაცლებით მალა დგანან, ვიდრე ჩვენ, ცოდვილი სოფლის შვილები. მათი დანიშნულება და საქმე მარტო ღვთის მსახურება, ღვთის ბქანებისა და დავალების განხორციელებაა.

ხოლო ღმერთს, როგორც ჩვენი სარწმუნოება გვასწავლის, ისე არა ჰსწყურია-რა, როგორც კაცის მოქცევა ცოდვებისაგან, კაცის ცხოვნება, კაცის გონების განვითარება, სიმართლისა და პატიოსნების კვალზე დადგომა. ამიტომ ანგელოზებსაც მარტო ამას ავალებს უფალი და იმითმ მოავლენს ხოლმე მათ ქვეყნად, რომ ისინი წინ წავგიძღვენ ანთებული სანთლით ღვთის სიყვარულისა, პატიოსნებისა, გონება-ზნეობის განვითარებისა და თან-და-თან წინსვლის საქმეში.

როდესაც მორწმუნე კაცი ანგელოზზე ფიქრობს, მას უსათუოდ ნათლად ეხატება მასთან შედარებით საკუთარი ბუნებისა, საკუთარი ცხოვრებისა და მიმართულების ნაკლებე-ვანებანი და ამის გამო იღვიძებს მაში ცხოველი სურვილი მეც ანგელოზს მივბაძო, მეც ანგელოზის მსგავსად. ღმერთს დაუახლოვდე და მისი მცნებები შევიყვაროვო. ან როდესაც მორწმუნე კაცი განარისხებს ღმერთს რაიმე დანაშაულობით, იგი სასოწარკვეთილებასა და უი-

მედობას კი არ ეძლევა, მდგრად ებრძვის ბოროტებას და ხელახლა წყობილობს ღვთის საამო ცხოვრებას იმ იმედით, რომ ღმერთი, როგორც მოწყალე მამა, ხელს შეუწყობს მას, მკველად მოუვლენს მას ზეციდან ანგელოზს და კვალად დაიახლოვებს თავისთან.

განა ასეთი რწმენა ბედნიერება არ არის? განა ასეთი რწმენა არ უნდა გვახალისებდეს იმაში, რომ სასტიკად შევებრძოლოთ უვიცობას, უზნეობას, უსამართლობას, ერთმანეთის მტრობა-შურიანობას და იმას არ უნდა გვაიძულებდეს, რომ ცხოვრებაში გავამეფოთ მხოლოდ ღვთისნიერობა და ერთმანეთის თანაგრძობა? მაშ ნუ დაივიწყებთ ნურასოდეს, რამდენად ბედნიერები ხართ იმ გარემოებით, რომ თქვენი ტაძარი ატარებს მთავარანგელოზთა მიქელ-გაბრიელის სახელს. მაგრამ ანგელოზს მოწინააღმდეგედ ეშმაკი ჰყავს და აი ამ უკეთურ არსებას უნდა მივაწეროთ ის, რომ კაცს ხშირად გონება უბრძვედება და წინააღმდეგი ხდება ხოლმე ქვეშაობებისა, სიკეთისა და სინათლისა. დღესაც ამ მაცდურის გავლენით, რომელსაც არ შეუძლიან აიტანოს კაცის პატიოსანი, წმინდა და ღვთის საამო ყოფაქცევა, ბევრი არიან ჩვენში ისეთი ამპარტავანი, ზნეობა გახრწნილი და ნამუს შელახული პირები, რომლებსაც სრულებით არ სწამთ ანგელოზები.

რას ეტყვიან ასეთ პირებს, საყვარელო მსმენელნო? რითი დაარწმუნებთ მათ, რომ იგინი შემცდრები არიან?

იმითი, რომ რაც კი რამ ვიცით ანგელოზების შესახებ, რა წარმოდგენაცა გვაქვს ამ ზეციურ ძალებზე, ვიცით იესო ქრისტეს სახარებრიდან, იესო ქრისტეს მოძღვრებიდან იესო ქრისტეს ქადაგებიდან და იესო ქრისტეს პირიდან კი, როგორც თითონ ურწმუნოებიც მოწმობენ, არავითარი სიყალბე და სიცრუე არ ამოსულა.

ანგელოზი მშვიდობისა, სარწმუნო წინამძღვარი, მკველი სულთა და ხორცთა ნუ მოგაკლოთ უფალმა ნურას ოდეს!

№

(შემდეგი იქნება).

მატარებელი.

ენკენისთვის შუა რიცხვებში ზესტაფონიდ-გან მატარებლით მოვლიდით მე და ერთი ჩემი მეგობარი. ვაგონში იწროობა იყო და ჩვენც ერთ კუთხეში მივდექით, რომ ცოტათ მაინც თავი დაგვეფარა გამვლელ-გამომვლელის მუჯღლუგუნებისაგან. იქვე ზემოური გლეხი იჯდა, რომელსაც ცარიელი ბოთლი ეჭირა ხელში. ჩემმა მეგობარმა ვინაობა ჰკითხა და აღმოჩნდა, რომ იგი შორაპნის მახრის სოფ. ხ-ის მცხოვრები იყო და სოფ. ს-ის ბავშვის წამალზე მიდიოდა. მე სხვათა შორის ადგილობრივი მღვდლის ვინაობა ვიკითხე და პირდაპირი პასუხის მაგიერ ასეთი პასუხი მივიღე:

— ეჰ, ღვდელათ ღვდელი კაი გვყავს, მაგრამა თვეში ერთხელ თუ მოვლანდავთ თვალსა. ძალიან ძვირათ დაიარება დალოცვილი სახლიდამა. შორს კია, მაგრამ ჩვენც ხომ ცოდონი ვართ, ჩვენც ხომ უღვდლოთ არ ვარგვართ არც კირში და არც ლხინში. ი დალოცვილი კვირა დღეს თუ მობრძანდა ი თავის ლურჯა ცხენითა და გამოსწირა, მეტს არას დაგიღვეს.

— მერე ვინ გისრულებთ საჭირო ღვდელ-მოქმედებს, როცა ის იქ არ არის?

— გვყავს მეზობელი ღვდელი, აკურთხა ღმერთმა მისი პატრონებთ და იმას მივმართავთ ხოლმე, როცა დაგვჭირდება. მართალია შორს კია, მაგრამა, აბა რა ღონე გვაქ, უნდა შევატყობინოთ ჩვენი გაჭირვებაი. ი დალოცვილიც რო ხანდახან დაიხარებს ხოლმე? — თქვენ თქვენი ღვდელი გყავთ და იმსახურეთ, მე ჩემ სამრევლოსაც ვერ უვლიო, ყოველ დღე რომ ასე ვიარო, სამი ცხენი უნდა მებას თავლაშიო და მერე რა გამორჩენის გულისთვისო, მე ტყუილი უნდა ვემსახუროყო და სხვამ ფულეები იიდოსო? მართალს ამბობს ისე მისი კურთხევის მაღლი მე და ჩემ ცოლშვილს შეგვეწიოს, მაგრამა ჩვენც რა ვქნათ: უნათლაეუხი-არებელი ხომ არ დევინოცებით შე დალოცვილო?! არც ჩვენ გვინდა 15 — 16 ვერსის სიშორეზე ვიაროთ ღვდელთან, მაგრამა, აბა რა გავვეწყობა, რით შემოუაროთ თავსა?

— ისე კი კაი ღვდელია, ღმერთმა გვიცოცხლოს მისი თავი, მაგრამა ი სახარების პირს რო არ გვიხსნის ხოლმე ის კი აღარაა მოსაწონი. ხშირათ ვეტყვი ხოლმე ხუმრობით, ღმერთმა აკურთხოს, ხუმრობა უყვარს და ატანაც იცის ხოლმე, — ხშირათ ხუმრობით ვეტყვი ხოლმე: „ღვდელი! სახარების პირი გამოგვითარგმანე ხოლმე, თორემ ვერაფერი გვესმისთქო. ი დალოცვილი მოციქულეები, ვენაცვალე მათ ენა-პირსა მეთქი, მეტათ ღრმათ ლაპარაკობენ მეთქი და უნდა ხანდისხან გამოგვითარგმანო, თორემ აბა ჩვენ საიდან გავიგოთ მეთქი.

უყურე, უყურეო ჩვენ როსტომელასაო, რაფრის ხუმრობა იცისო, იტყვის ხოლმე, ვენაცვალე იმის ენა-პირსა, და გაათავებს ამითა. კაი ღვდელია კაი, მაგრამა გული კი გვწყდება, რომ ძვირათ გენახულობს ხოლმე. ვეუბნები, ღვდელი, დაესახლე აქა მეთქი. — ამიშენე სახლი, მომეცი მიწა-წყალი და დავესახლებიო მეტყვის ხოლმე. რაღა მეთქმის. აბა საიდან უნდა აუშენო სახლკარი და მივცე მიწა-წყალი? მეც ერთი ქობი მიდგია, — ნახევრობით დამბალი, და რაღაც ერთი ქცევა მიწა მაქვს ისიც გამოფიტებული და უნაყოფო.

— მაგ შემთხვევაში კარგია თქვენივე სოფლის მცხოვრები ღვდელი გვყავდესთ.

— სწორეთ რო კარგია, ბატონო, მაგრამა ჩვენში ანა-ბანა არავინ იცის და საიდგან.

— როგორ, შკოლა არა გაქვთ?

— არა გვაქ, ბატონო, აბა ვინ გაგვხდის ჩვენ მის ღირსსა. გვიცოცხლოს ღმერთმა ჩვენი ღვდელი, ერთხელ კი გვითხრა, სკოლას ვავადეფო, მაგრამა ჩვენ აღარაფერი სკოლა არ გვინახავს. კაი ღვდელი გვყავს კაი, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს მისი თავი, სთქვა უკანასკნელათ გლეხმა და გაღვიდა ვაგონიდან ს-ს სადგურზე საიდანაც უნდა გამგზავრებულიყო წამალზე.

როგორი „კაი ღვდელია“ ის ღვდელი, რომელიც მრევლში ძვირათ დაიარება, ხალხს სახარების ძალას არ უხსნის, თავის მოვალეობას მეზობელ მღვდელს ახვევს კისერზე, სწავ-

ლა-განათლებლისთვის არ ზრუნავს და მხოლოდ კვირა დღე წირვის შესრულებაში ხედავს თავის მოწოდებას, — ეს თვით მკითხველმა განსაჯოს. და ასეთი მღვდლები არც კოტაა ჩვენში!

ასეთ ნაკლულევეანებთან გლახს კიდევ უკვარს მღვდელი და ამბობს: „ღმერთმა ნუ მოგვიშალოს მისი თავიო!“ დიალაც ღმერთმა ნუ მოუშალოს ხალხს ღვდელი, მაგრამ ისეთი ნაკლულევეანი კი არა, როგორც ზემო აღწერილი, არამედ მოქმედი და თავდადებული, მშრომელი, მუშაკი, მეტყველი, მასწავლებელი რომელიც კუქისთვის კი არ ღვდლობს, არამედ სამწყსოს საკეთილდღეოთ და ღვთის სადიდებლოთ.

მოგზაური.

ჩვენი სამღვდლოება და საზოგადო ქველმოქმედება.

ყველაფერში შეგვიძლია დევმდუროთ ჩვენ სამღვდლოებას, მაგრამ რაც შეეხება საზოგადო და კერძო ქველმოქმედებას მისი ნივთიერი მდგომარეობის კვალობაზე, თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამაში ტოლი არა ყავს. რა თქმა უნდა სამღვდლოების ქველმოქმედება თავის თავათ არავის წაეჩხირება თვალში, რადგან მისი ნივთიერი დახმარება, მისივე საშეაღების სიმცირის გამო, არ შეიძლება დიდი იყოს.

განსაკუთრებით იმერეთის სამღვდლოების ქველმოქმედება ამ უკანასკნელ ხანებში საეკლესიო შკოლებს დაეტყო. არ არის იმერეთის ეპარქიაში ასეთი შკოლა, სადაც მღვდლის ასე თუ ისე საგრძნობელი წვლილი არ იყოს შეტანილი. უმეტესს ვიტყვი: იყო დრო, როდესაც სამღვდლოება თავის ზურგით ატარებდა ამ სახალხო წერა-კითხვის წყაროს. ეს ის დრო იყო, როცა სახელმწიფომ მხოლოდ ნება დართო საეკლესიო შკოლების გახსნას, ხოლო შესაფერი საშუალება კი არ მისცა. ამ დროს მღვდლები თითონ აშენებდნენ საშკოლო სახლს, ან თავის საკუთარ სახლს

უთმობდნ და მასწავლებლებსაც თავის ხარჯით ინახავდნ; ხშირათ სასწავლო ნივთებსაც თითონ ურიგებდნ მოწაფეებს. ხალხი, შეშინებული და შეიწროებული სხვა და სხვა გადასახადებით შორს გაურბოდა შკოლას და ბავშვებსაც კი არ იძლეოდა, საქმეში არ შეგვიტყუნ და გადასახადი არ დაგვადევანო. ამ დროს მეც ახლოს უდექი საეკლესიო შკოლებს და შემიძლია სინდის ქვეშ ვსთქვა, რომ თუ იმერეთში საეკლესიო შკოლებმა ფეხი მოიკიდეს და რიცხვით საერო-სამინასტრო შკოლებს გადააჭარბეს, ეს სულ ადგილობრივ სამღვდლოების წყალობით, მათი ნივთიერი და ზნეობრივი დახმარებით. მართალია, სწავლების საქმე არ იყო დაყენებული შესაფერ სიმაღლეზე, მაგრამ აქ სამღვდლოებას ბრალს ვერ დავდებთ, რადგან ამ მხრით სამღვდლოების დიდი უმრავლესობა არც კი იყო მომზადებული და მეორე მხრით მომზადებული მასწავლებლის შოვნა უფრო მართებლობის საქმე იყო.

სწორეთ ამ დროს გაჩნდა სოფ. ხარაგოულში პატარა სამრევლო შკოლა, რომლის სიღარიბეს ყოველი მხრით საზღვარი არ ქონდა. მაგრამ მალე გამოჩნდა გულ-შემატკივარი ადამიანი, რომელმაც თავს იღვა ამ შკოლის ბედ-იღბალი და ეს ადამიანი, ჩვენდა სასიკაღლოთ, იყო მღვდელი, დღეს კი დეკანოზი პატიეცემული მამა რომანოზ დეკანოსიძე. ამ ღირსეულმა მამამ ერთი წლის განმავლობაში მშვენიერი შენობა აუგო შკოლას და ზემო სართულში მოათავსა, მორთო კიდევ შკოლისვე ეკლესია; მანვე შესწირა მას საბაღე ადგილიც და ყველა ეს გადასცა იმერეთის სამოსწავლო საეპარქიო საბჭოს, რომელის შეფასებით მ. დეკანოზ რომანოზის შემონაწირი შკოლის ქონება ღირს 14,000 მანეთი. ასეთი მსხვილი შეწირულება მოახერხა სოფლის მღვდელმა, რომლის სამრევლო ერთი ღარიბი სამრევლოთაგანია ზემო იმერეთში. მ. დეკანოზი დღეს თავს დასტრიალებს თავის ნაჭირნახულევე ორ-კლასიან შკოლას, როგორც გამგე და როგორც მზრუნველი მამა. მას ამხანაგათ გვერდში უდგია მისი მეუღლე ნიჭიერი, მოქმედი და ნამდვილი მეო-

ჯახე პატივცემული დედა ანუსია. ღმერთს არ მიუტყია მათთვის საკუთარი შვილი და მიუსსჯია მათთვის სხვისი შვილების მოვლა-პატრონობა და ისინიც მორჩილებით და მადლობით ასრულებენ ამ საღვთო დაიშნულეზას. ბევრი სხვისი შვილი აღუზრდია პატიოსან ცოლ-ქმარს თავის საკუთარ უბეში და დაუსახლ-კარებია კიდევ. ეხლა ხომ ყოველ წელიწადს ასობით ბავშვები სწავლობენ მათგან დაარსებულ სკოლაში და მათი მეოხებით გზას იკვლევენ ცხოვრებაში. ღირსეული ცოლ-ქმარი ჯერ კიდევ მხნეთ არიან და ბევრ რამეს მოელის მათგან მათი ღვიძლი შვილი, მათი ნაღვაწი სკოლა.

როგორც გავიგეთ მამა დეკანოსიძე ქალეზის სკოლის გახსნასაც აპირებს. ღმერთმა ხელი მოუმართოს! ამ პატიოსან ცოლ-ქმარს სამსახურს არ დაივიწყებს ხარაგაულის პატარა კუთხე, მათი ქველმოქმედება მისაბაძავ მაგალითად დაიდება ჩვენ შორის.

მამა დეკანოზის ქველ-მოქმედება ცოცხლათ მაგონებს განსვენებულ ეპ. გაბრიელის ქველმოქმედებას. როგორც გაბრიელმა, ისე მამა რომანოზმაც თავის ჯან-ღონით ქვეყნიდან ნაშოვნის სიმდიდრე ისევ ქვეყანას უანდერდა.

ქეშმარიტათ წასაბაძავი მაგალითია!... აქვე სიამოვნებით და სიამაყით ვათავსებთ მამა რომანოზის სურათს (იხ. გვ. 1).

ეპისკოპოს ლეონიდსა და თავ. ოტია დადიანს შორის მომხდარი უთანხმოების გამო.

გაზ. „კოლხიდის“ № 31 შემდეგს ვკითხულობთ: სწორეთ სამწუხარო შემთხვევა იყო, რომ ეპ. ლეონიდისა და თ. ოტია დადიანის შორის უთანხმოება მოხდა. ამის შესახებ საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმა და ათასგვარი ხმა დადის. საჭიროთ ვრაცხთ ამის გამო შეითხვდეს შემდეგი ვაუწყოთ.

სოფ. მარტვილში დიდხნიდან ორი სამრევლო ეკლესია არსებობდა: ნახარებოუსა და

მატილის ტაძარი. ორივე ეკლესიითა და მათი ეზოებით სარგებლობდნ სოფლელები, რადგან ეს იყო მათი სამწირველოც და სასაფლაოც. 1888 წ. ორივე ეკლესია მონასტრებათ გამოცხადდა და სოფლელები უეკლესიოთ დარჩენ. დიდ ხანს ითმინეს მცხოვრებლებმა გაჭივრება და ბევრიც ეცადენ, მაგრამ საკუთარი სამრევლო ეკლესია ვერ აიშენეს. 1909 წ. ხალხმა თავისი გაჭივრებული მდგომარეობა აუწყრა ეპ. ლეონიდს და სთხოვა მთავრობის წინაშე შეამდგომლობა აღედრა, რომ ნახარებოუს ეკლესია მრევლს სამრევლო ეკლესიოთ დათმობოდა. ეპ. ლეონიდმა შეიწყნარა სამართლიანი თხოვნა და შესაფერი შეამდგომლობა აღძრა სინოდალური კანტორის წინაშე.

ამ ამბის გამო დადიანებმა საჩივარი შეიტანეს კანტორაში. საჩივარს ხელს აწერს თ. ოტია დადიანი. საჩივრის შინაარსი არსებითად ისაა, რომ ნახარებოუს გაუქმება არა მარტო დარღვევა იქნება ანტონ ჭყონდიდლის ანდერძისა, არამედ მისი პიროვნების და ჩვენი გვარის შეურაცხყოფაცა, ჩემს აღმზრდელ ბიძას ანტონ 1 ჭყონდიდელს დიდი ღვაწლი მიუძღვის ოდიშის რუსეთთან შეერთების საქმეში და ეპ. ლეონიდის საქციელი (ნახარებოუს მონასტირის სამრევლო ეკლესიოთ გაშტატება) უპატივცემულობაა მისი პირადობისადმი.

ამ საჩივარმა, სამწუხაროთ, შთაბეჭდილება მოახდინა, რასაც ორი საზარალო შედეგი მოყვა: ერთი რომ ეპისკოპოსის შეამდგომლობა არ შესრულდა და სოფლელები ისევ გაჭივრებაში დარჩენ, მეორეც ის, რომ ეპ. ლეონიდის გულწრფელსა და პირდაპირ მოქმედებას ბევრგვარი ეჭვი გადაეფარა და მის პირადობას მთავრობის თვალში ჩირქი მოეცხო. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ საჩივარი მეტათ უსაფუძვლოა—და აი რატომ.

1, ნახარებოუსი ასაფლავია ანტონ 1 ჭყონდიდელი. ეს არის ოდიშის მთავრის ოტიას შვილი, რომელსაც კიდევ ყავდა შვილები: კაკია, ნიკოლოზი, გიორგი და გრიგოლი; ასე რომ ეს ანტონი მომჩივანი ოტია ელისბარისძის ბიძა არ ყოფილა. მართალია, ყავდა

თ. ოტიას ბიძა—ანტონ ჯყონდიდელი, მაგრამ ის მეორეთ იწოდება და ასაფლავია მარტილის მონასტერში, ოდიშის მთავრის დავითის საფლავის წინ. იქვე არიან დასაფლავებულნი თავ. ელისბარი—მამა ოტიასი და ეპ. გრიგოლი—მამა ოტიასი. ანტონ I გადაიკვალა 1815 წელს, რომელიც ვერ იქნებოდა აღმზღელი თ. ოტიასი; თვარა ბ. ოტია ახლა 105 წლის მაინც უნდა იყოს. ანტონ მეორე კი გადაიკვალა 1852 წ., ასე რომ ამ ორ ანტონს შორის განსხვავება და უსაფუძვლო სთვლის თ. ოტია ნაბარებოუს მონასტრის სამრევლო ეკლესიით ჩარიცხვა რით და როგორ შეურაცყავს იქ დასაფლავებული პირის ღირსებას! ალბათ სხვა რალაც მიზეზია საჩივრისა, და არა ეს.

2. ანტონ ჯყონდიდელის ანდერძზე ლაპარაკი აქ უადგილოა, რადგან ანდერძის შინაარსს სრულებით არ ეწინააღმდეგება ეპ. ლეონიდის განზრახვა. წაიკითხეთ ანდერძი და დარწმუნდებით.

3. არც ერთს ანტონ ჯყონდიდელს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ოდიშის რუსეთთან შეერთების საქმეში, ასე რომ სრულიად უადგილოა იმის ფიქრი, ვითომ ეპ. ლეონიდი მოღვაწის სახელს განზრახ ამცირებდეს. ამას დაბეზღების ხასიათი აქვს, რაიცა მთავრობას ძალიან დაეჭვებს და ლეონიდს დიდათ აენებს. თუ გსურთ იცოდეთ, ამ საქმეში შრომა მიუძღვის გენერალ-მაიორს ნიკოლოზ გიორგის ძეს დადიანს—და მის საფლავს კიდევ აწერია: „ქვაზე ესე ჰფარავს ვიდრე ქრისტეს მეორეთ მოსვლამდი მტვერსა ჩინებულისა მამაკაცისა ლენერალ-მაიორის და კავალიერის ნიკოლოზ გიორგის ძის დადიანისას; წარგზავნილმან სატახტო ქალაქად სანკტპეტერბურლსა ნათესავისა თვისისა მფლობელის შეგრელებისა მიერ, მან გამოითხოვა საერთოთ ერისათვის შეგრელებისა მშვიდობაჲ, ბედნიერებაჲ და მყუდროებაჲ საფარველსა ქვეშე როსიის ტახტისა, რომლისათვისაც სხოვრებასა შინა თვისისა მიიღო კურთხევანი ერისაგან და მრავალნი პატივნი ხელმწიფისაგან.“

სამწუხაროა, რომ თ. ოტია დადიანის საჩივარმა საქმეც შეაფერხა და ეპ. ლეონიდსაც მთავრობის თვალში ნდობა დაუკარგა. ვერ გავგივია, რამ აიძულა თავ. ოტია დადიანი ასეთი—საჩივარი შეეტანა! იმედი გვაქვს პატივცემული თავ. ოტია ელისბარის ძე თვითონვე გულწრფელათ აუხსნის დაინტერესებულ საზოგადოებას, როგორ მოხდა ეს.

უკანასკნელი წერილი მეგობრისადმი.

(რუსულით).

არ მინდოდა დამეწყო ძველი, ჩვეულებრივი სიტყვებით: „როდესაც ამ წერილს მიიღებ, მე მაშინ ცოცხალი აღარ ვიქნებიო“. მაგრამ, ეპ, ჩემო მეგობარო, ეს ასეა და არც შეიძლება სხვანაირათ იყვეს. მე გადავწყვიტე მოვკვდე. მოვკვდე იმიტომ, რომ ვერაფრით ვერ შევძელი ამეფსო ის გაყინული ცარიელობა, რომელიც ჩემს გარშემო არსებობდა, რომელსაც ვერ დავახწიე თავი და არც იმედი მაქვს, რომ როდისმე მაინც ვიპოვო მისგან გამოსავალი.

მე არ მოვიტხოვ შენგან არც თანაგრძობას და არც შებრალებას. თვითონ მე დიდი ხანია ამაზე ვფიქრობ და ყოველ მხრივ აწონილ-დაწონილი მაქვს ეს ნაბიჯი. ჩემ ადგილზე ყველა ბედნიერად ჩათვლიდა თავის თავს. მე კი თავს ვიკლავ... ჩემივე სურვილით გაურბივარ სიცოცხლეს, როგორც უმძიმეს ტვირთს და, მართლაც, რა იყო ჩემთვის სიცოცხლე, თუ არა მძიმე ტვირთი?! უსარწმუნოებოთ, უსიყვარულოთ და უმიზნოთ განვლო მან... არაფერი კეთილი და სასარგებლო არ გამიკეთებია, თუმცაღა ბევრი საშვალეობა და შემთხვევა მქონდა, ჩემი გული დახშული იყო სიყვარულისთვის, სარწმუნოებისთვის და აი ამაში მდგომარეობს ჩემი სიცოცხლის მთელი ტრაგიზმი.

შენ, ჩემო კეთილო მეგობარო, არ დაიჯერებ ყოველივე იმას, რასაც მე გეტყვი და იფიქრებ, ვითომ მე თავის თავს ცილს ეწამებდე, მაგრამ მე დავიმტკიცებ, რომ ეს ცილისწამება კი არაა, არამედ ხალასი სიმართლე.

მე გიამბობ ჩემ ცხოვრებას იმ ათი წლის განმავლობაში, რაც ჩვენ ერთმანეთი არ გვიანახავს.

შენ ის ერთად-ერთი კაცი ხარ, რომელიც თუ არ მიყვარდი, პატივს მიანიც სულითა და გულით გცემდი. შენ ხარ პატიოსანი და მართალი კაცი და შენ თვითონ განსაჯე უნდა ეცხოვრა ამ ქვეყნათ ისეთ კაცს, როგორიც მე ვიყავი თუ არა? მე ვერ მომისწრებს შენი პასუხი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ ის უარყოფითი იქნება.

მაპატიე, შეიძლება შენ დაგვალღოს ამ ჩემმა გრძელმა წერილმა, მაგრამ მე მინდა მთელი ჩემი ცხოვრება გადაგიშალო, მინდა შენს წინაშე აღვიარო აღსარება. გეფიცები, რომ მართლ-მართლ სიმართლეს მოგიყვები, — ასეთ წამებში არ სტყუვიან. მე ვწერ ამ სტრიქონებს და ჩემი სამწერლო მაგიდის ღრიქით დატოვულ უჯრიდან მოსჩანს მოელვარე ლულა ჩემი რევოლვერისა, რომლის სამსახურს მიემართავ წერის გათავების შემდეგ.

დავიწყებ ცოტა შორიდგან, სახელდობრ იქიდან, როცა ჩვენ ორივენი უნივერსიტეტში ესწავლებოდით. ჩვენ თუმცაღა მეგობრები ვიყავით, მაგრამ მაინც დიდი განსხვავება იყო ჩვენ ხასიათსა და მსოფლმხედველობის შორის. შენ იყავი კეთილი გულის, მიესწრაფებოდი სიყვარულისაკენ და მზად იყავი მთელი მსოფლიო სულით და გულით შეგეყვარებია. მე კი ვიყავი ყმედი და თავის-თავის მოიმედე; თავი ყოველთვის ამყარებ შეჭირა და ვფიქრობდი მთელი ქვეყანა ჩემი გაყინული გულისთვის დამემორჩილებია.

ჩვენი სოციალური მდგომარეობაც დიდად განსხვავდებოდა ურთიერთისაგან. შენ იყავი ღარიბი და მე კი მდიდარი და ვფიქრობდი ჩემი სიმდიდრის შემწეობით მეტატონა ცხოვრებაზედ. მაგრამ მე სასტიკად ვცდებოდი. თურმე შენ ჩემზედ უმდიდრესი და უძლიერესი ყოფილხარ. შენ გულში ღვივოდა წმიდა სიყვარული მოყვასისადმი და რწმენა შენი დანიშნულებისა და მოწოდებისადმი. ჩემი გული კი გაცილებული იყო, როგორც ქვა,

მე ვერ აღვზარდე ჩემ გულში კეთილი გრძნობა სიყვარულისა და ვერც განვიმარტე მისი დიადი მნიშვნელობა ცხოვრებაში. მე შეგონა სკვალი იყო ოქრო მქონოდა, რომ სრულიად ბედნიერი ვყოფილიყავი. მაგრამ ვცდებოდი თურმე, რაც ნათლად დაამტკიცა ჩემმა ცხოვრებამ, რომელიც უდროოდ დასკვნა.

გახსოვს, როგორი აღტაცებით შეხვდი შენ მასწავლებლად დანიშვნას საღლაკ მიყრუებულ ქალაქში უნივერსიტეტის გათავების შემდეგ და მხიარულმა და ბედნიერმა გასწიე უცნობი მხრისკენ, რომ გეთესა თესლი კეთილი?

მე კი სულ სხვა თვლით შეხვდე შენს დანიშვნას და ის ძლიერ წვრილმანათ მეჩვენა იმ იდეალებთან და გამოცანებთან შედარებით, რომლის ახსნა-განმარტებისათვის თითქოს უნდა შეგვეწირა ჩვენ ჩვენი სიცოცხლე. რა გამოცანები იყვნენ ისინი ჯერ თვითონ მეც არ მქონდა გათვალისწინებული, ან რა იდეალს უნდა ვმსახურობდით, ჯერაც გაურკვეველი მქონდა და არ ვიცოდი, რა მექნა და რა გზა ამერჩია იმ გამოურკვეველ იდეალების მისაღწევად.

ამ გამოურკვეველ მდგომარეობიდგან გამომიყვანა მშობლების წერილმა, რომლებიც მე-პატივებოდნენ სოფელში და მეც, რასაკვირველია, დავივიწყე ყველაფერი და სიხარულით გაგსწიე მათკენ. შენ არ იცნობდი ჩვენს ოჯახს და ვერც წარმოიდგენ, თუ რანაირ ქვეყნიურ სამოთხეში სცხოვრობდა ის.

ჩვენი სოფელი ბატაროვკა, რომელიც მდებარეობს მდ. ვოლგას ნაპირზედ, ხიბლაუდა ყველას სიდიდით, სიმდიდრით და აუწერელ სიმშენიერით. უზარმაზარი უდაბური ტყეები, ამწვანებული მინდვრები და ალაღანებული ჯეჯილები ჩვენი სოფლის ირგვლივ, მრავალი ვერსის სიშორეზედ ეკუთნოდა მამა ჩემს და აქ სცხოვრობდა ის განცხრომით და ფუფუნებაში, როგორც მთავარი. მამა ჩემი იყო მეტის-მეტი ამპარტაფანი და ყმედი. არ მოიძებნებოდა ჩვენ გუბერნიაში ისეთი კაცი, რომელთანაც კარგი, მეგობრული განწყობილება მქონოდა მას. ის ყველას თავის თავზედ დაბლა სთვლიდა და მედიდურათ ეპყრობოდა მათ, და თუ სცემდნენ მას

პატივს, ეს იმიტომ, რომ ეშინოდათ მისი და არა იმიტომ, რომ ვითომც უყვარდათ ის, როგორც თვითონ ფიქრობდა. მამის წინააღმდეგ სურათს წარმოადგენდა დედა ჩემი, რომელიც იყო ანგელოზებზე წყნარი და მოსიყვარულე არსება, მაგრამ ამასთანავე სუსტი ხასიათის მექონე. მამი ჩემის წინაშე შიშმა სრულიად დაუკარგა საწყალს ხასიათის სიმტკიცე. ის იყო ღრმა მორწმუნე ქრისტიანი და მთელი თავისი ძალღონით სცდილობდა ჩაენერგა ჩემთვის და ჩემი და ნინოსთვის სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი. მე მინდა დავისურათო დედაჩემის პიროვნება და ამიტომ მოგიყვები ჩემი ბავშობის ცხოვრებიდან ერთ პატარა შემთხვევას.

ეჰ, იმ შორეულ ბავშობის დროს მე სრული ბედნიერი ვიყავი, რადგანაც ვგრძნობდი ჩემში სარწმუნოების ნეტარებას, სიყვარულს ღვთისადმი და მოყვასისადმი. მაგრამ შემდეგში ყველა ესენი გაქრენ. ჩვენ ოჯახში ყველაზედ უფრო პატივსაცემ დღესასწაულათ მიჩნეული იყო საფარველი ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა 1 ოქტომბერს ყოველთვის, წინა საღამოთი მოხუცი მ. ვასილის და მისი მთავარ-დიაკვნის მიერ სრულდებოდა ჩვენსას ღამისთევით ლოცვა. გარეშე სტუმრებს არ პატივობდენ, მაგრამ მთელი ჩვენი ოჯახი და მრავალი შინაყმა აუცილებლად ესწრებოდა მას. მამა ჩემი, შავ სერთუკში სადღესასწაულოთ გამოწყობილი, ამაყად წადგებოდა ყველაზედ წინ. ის არ იწერდა პირჯვარს, არ ლოცულობდა, არ შვებოდა მეტანიას, ალბათ იმიტომ, რომ არ უნდოდა მოედრიკა თავისი ამაყი ქელი ღვთის წინაშეც კი.

დედაჩემი კი სულ ერთიან გაერთობოდა ლოცვაში და გვალოცებდა ჩვენც. ის იღვა ჩვენთან და ჩვენ ყველანი სიყვარულით და ღრმად ელოცვილობდით და განვიცდიდით უაღრეს ნეტარებას. გულის სიღრმეში იზრდებოდა სიყვარული უზენაესისადმი და ჩვენი ბავშური თავებთ თავისთავად იძრებოდენ ძირს მის თაყვანის საცემად.

ოჰ დაუვიწყრო, წმიდა წუთებო! რა ბედნიერი ვიყავი მაშინ! ეხლაც გრუნტელი მივლის

ტანში, როცა თქვენ მომაგონდებოდით! სად გაქრი შენ! ჩემო სიყმაწვილის სარწმუნოებაჲ?! სად არის შენი ცხოველ მყოფელი ძალა რომელიც ავსებდა მაშინ ჩემ გულს? უგზო—უველოდ და უსისტემოდ გატარებულმა სიცოცხლემ ჩააქვრეს ჩემში იმ წმიდა ცეცხლის ნაპერწკალიც კი და სული ჩაეფლა ურწმუნოების მორევში! ოხ! ნეტავი ერთხელ კიდევ, ერთ წამს მაინც გაანათებდეს ჩემს გულში ის საკვირველი სარწმუნოების ნაპერწკალი!.. მაშინ მე ოცდა თუთხმეტი წლის კაცი ასე უდროოდ დამტვრეულ—დაქანცული არ განვშორდებოდი სიცოცხლეს. მაგრამ არა. მის ნაცვლად ჩემს გულში მხოლოდ ერთად—ერთი გულის მღრღნელი კაეშანია გამეფებული და მითვე წავალ... წავალ შავ სამარეში. ძნელი ყოფილა უსარწმუნოებოთ სიცოცხლე!

ნეტარ არიან მორწმუნენი. მაპატიე, ჩემო მეგობარო, რომ ცოტა განზე გადაუხვიე, მაგრამ არ შემეძლო არ მექნა ეს, რადგანაც ეს მოგონება რაღაცა უფრო ახლო ხედება ჩემ გულს და მიტომ ვერ აუხვიე მას გზა. ეხლა კი ხელ-ახლავ განვაგრძობ ჩემი ცხოვრების აღწერილობას.

ჩემ სოფელში ყოფნის პირველმა ხანებმა ჩვეულებრივად განელეს. მე მაქმევედენ, მეფერებოდენ და მაქებდენ. ერთხელ შრისხანე მამა-ჩემიც კი მომეხვია და გრძნობით მითხრა: „სერგო! მე შენით კმაყოფილი ვარ, ეხლა თავისუფლად შემიძლია მოვკვდე, დაიმედებული, რომ ჩინებულ გვარს ბატროვებისას ყავს ქვეიანი და საქმიანი მემკვიდრე!“

როგორ სცდებოდა საწყალი მამა ჩემი. ბატროვების გვარის გამგრძობმა მეტი ვერაფერი მოახერხა, თუ არა ის, რომ შპ წლამდის უაზროთ და ფუქსავატად ატარა თავის ცხოვრება და ბოლოს მიმართა რევოლუერის სამსახურს. რა მწარე დაცინვაა?

დედა პირდაპირ მალმერთებდა და ჩემს დას ნინას კი შურდა ჩემი ასეთი განსხვავებული მდგომარეობა.

მამის სურვილისამებრ საწყალმა ნინამ მთელი თავისი სიქალიშვილე სოფელში გაატარა, გარს შემოსული სხვადასხვა ეროვნების აღმრზდე-

ლობით. ის მშვენიერად, ჩემზედ უკეთ იყო განათლებული. ლაპარაკობდა ყველა ევროპიულ ენებზედ. ჩემი უნივერსიტეტის გათავების დროს ის იყო 18 წლის ლამაზი, ქერა და თხელი გოგუნა.. პირისახით და ხასიათით დედას გავდა, მაგრამ უფრო თავისებური და მაგარი იყო.

მამა ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევდა. მას ყოველთვის და ყველას წინ მე მანსხვავებდა. მე თუმცა არ მიყვარდა მამა ჩემი, მაგრამ ეს არ მიშლიდა ხშირად შეამპარტავნა მისი ჩემდამო განწყობილობით და ხშირად მეც ვმლიქვნელობდი და ვფარისევლობდი მის წინაშე, და ვცდილობდი საგნებზედ მისივე აზრი და შეხედულობა მქონოდა. თავდაპირველად ამას განგებ ჩავდიოდი, რომ მისი გული უფრო მომეგო, მაგრამ შემდეგ ის ჩვეულებად გადამექცა და სისხლში და ხორცში გამიჯდა. აი აქ გადავდგი თავდაპირველად პირველი უარყოფითი ნაბიჯი ჩემი ყმაწვილობის იდეალებიდან.

იმ ზაფხულს ჩვენსას მოხდა ერთი შემთხვევა და აი აქ ჩემმა უსულგულო და ქვენა აღლომ ითამაშა თავისი პირველი სამარცხვინო როლი.

ჩვენ მეზობლად, თავის პაწაწა მამულში ცხოვრობდა ქვრივი დედაკაცი გვარად ვერხოვსკაისა. ის მეტის მეტი ღარიბი იყო, მაგრამ მეტათ სათნოიანი და საპატივცემულო. მამა ჩემს ის სძულდა და ისე მედიდურად ეპყრობოდა, რომ არც კი ელაპარაკებოდა, როცა ის ხანდისხან ჩვენსა მოვიდოდა ხოლმე. წინააღმდეგ მამისა დედა ძლიერ პატივცემდა მას და ებრალებოდა. ამ ქვრივს ყავდა ერთადერთი ვაჟი, რომელმაც იმ ზაფხულში დაასრულა მედიკური ფაკულტეტი და მიიღო ექიმის მოწმობა. ერთხელ მე, მამა ჩემი და ჩვენი მოურავი გავემგზავრეთ ჩვენი ყანების დასათვლიერებლათ.

ტყის პატარა ბილიკიდან გამოვიდა და წინ შეგვეფეთა ახალგაზდა, მოხდენილი აგებულების და ლამაზი ყმაწვილი კაცი, ხელში თოფი ეკავო და ქამარზედ ეპოწილებოდა რალაც მოკლული ფრინველი.

— „ეს რა ქურდი შემოგვპარვია აქ! არ იცი, ვინ არის?“ პრისხანედ შეეკითხა მამა ჩემი.

— „ეს ბატონი ვერხოვსკი გახლავს. ბატონო, ჩვენი მახლობელი მეზობელი, უბასუხა მოურავმა.“

— „მერე უფლება აქვს ინადიროს ჩემს მამულში? წადი მალე და ჰკითხე“. მოურავიც მიუახლოვდა და ჰკითხა, მან კი, მოუსმინა რა მოურავს, ვადინარხარა და გამოსწია ჩვენკენ.

— „ეს არის ყვავი და მოვკალი სამეცნიერო მიზნით ჩემს საკუთარ ბაღში“, გვიბასუხა მან. „მომეცი თნება გაგეცნოთ, მე გახლავარ თქვენი მეზობელი ვერხოვსკი“. მოიხადა ქული და ზრდილობიანათ დაგვიკრა თავი. მამა ჩემმა მედიდურათ ახედ-დახედა და არ უნდოდა ისე, ჩამოერთვა ხელი, მაგრამ თავისი გვარი კი არ უთქვამს. რამოდენიმე დღის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი აყო, ვერხოვსკი დედინათ გვესტუმრა სახლში სადარბაზოთ. ისინი მიიღო დედამ და დამ, რადგანაც მამა ჩემმა არ იკადრა მათთან გამოსვლა. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი გაცნობა და დაახლოება ვერხოვსკისთან. და ერთი თვის შემდეგ კი დედისაგან გავიგე, რომ ნინოს შეყვარებია ახალგაზდა ექიმი და უთხოვია დედისათვის გაუმედავნოს მამას ეს ამბავი და სთხოვოს ნება მისცეს ჯვრის წერისა, მაგრამ განა ეს ადვილი აყო?! დედა ვერ ბედავდა აესრულებია ნინოს თხოვნა და მთხოვა მე გადამეცა მამაჩემისთვის მის მაგიერ ეს ამბავი. მე მაშინვე უარი უთხარი, რადგანაც დამამკირებლათ მიმანდა ნინოს დაქორწინება ღარიბ სტუდენტზე. ბოლოს დედა იძულებული შეიქნა თვითონ ეთქვა მამაჩემისთვის ნინოს სურვილი. რა მოხდა არ ვწერ, მხოლოდ ვიტყვი, რომ ამის შემდეგ დედა ჩემი კარგახანს ჩაწვა ლოგინში და ნინოს კი ებრძანა არ დანახებოდა მამაჩემს და დაევიწყებია საბუღალთო თავის სიყვარულის სავანი. მაგრამ ნინომ ექიმის დავიწყება ვერ შესძლო და როცა ეს უკანასკნელი ერთ კომპირას ქალაქში დანიშნეს ექიმათ, ნინოც ჩუმათ თან გაჰყვა მას. ვაადე-

ვნეს მღევრები, მაგრამ მათი ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს. არ შეიძლება ადამიანმა ერთ გამოსთქვას ის სიბრაზე და სიშმავე, როგორსაც ამას შემდეგ განიცდიდა მამაჩემი. ის ღმუღადა, როგორც მხეცი და ამტვრევდა ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა. დედა ჩემი კი ლოგნათ ჩავარდა. ერთი თვის შემდეგ მივიღეთ ნინოსგან წერალი, რითაც გვატყობინებდა, რომ ის უკვე ვერხოვსკის ცოლია, ბედნიერია და ითხოვდა პატივებს და დალოცვას. ამ წერილმა თუმცაღა გააშმაგა მამაჩემი, დაქუქნა და გალუვებულ ბუხარში უკრა თავი, მაგრამ მის წაკითხვის შემდეგ რაღაც ყოყმანი და არა ჩვეულებრივი სირბილე შევამჩნიე. მერმე მიმითითა რა ფერფლათ გადაქცეულ წერილზე, და მითხრა:

— „მითხარი, სერგო, ჩემს ალავს შენ როგორ მოიქცეოდი?“

— „სწორეთ ისე, როგორც შენ, მამაჩემო“, ამყად მიუგე მე. მამა ჩემის პრისხანე სახე გაუბრწყინდა. ის გადამხვია და მითხრა:

— „გმადლობ, რომ შენში მაინც არ მოვტყუვდი, შენ ნამდვილი ჩემი შვილი ხარ!“! მე ამან ძლიერ გამახარა და ერთ წამსაც არ მიფიქრია იმაზე, რომ მე ჩავიდინე ერთი უსაზიზღესი საქმე, დაეხურე მამაჩემის გული ნინოსათვის. მე ვხედავდი, რომ მამაჩემი ყოყმანობდა და საკმარისი იყო ჩემი ერთი სიტყვა, რომ ებატებოდა ნინოსათვის მისი მოქმედება და შერიგებოდა მას. მაგრამ მე ეს არ ვქენი და არ შემძლო მექნა. ამისთვის საჭირო იყო, რომ მე მყვარებოდა ნინო და მისთვის კეთილი მდომოდა, და მე, ნუ თუ, როდისმე მიყვარდა ვინმე?!

ამ დღიდან მამამ აკრძალა ნინოს სახელის ხსენება, თითქო ის მომკვდარიყოს. სად არის ნინო და ან როგორ, მე დღესაც არ ვიცი. მან არც მაშინ მოიწერა რამე, როცა ერთი წლის შემდეგ მე ყოველ უმთავრეს ვაზეთებში დაესტამებ ერთი-მეორეზე დედ-მამის სიკვდილის განცხადება.

დედ-მამის დამარხვის შემდეგ მე დაებრუნდი პეტერბურგში და ეცხოვრობდი უქმათ. ეხ-

ლა მე ვიყავი მდიდარი, მეტის-მეტი მდიდარი. თუმცა უთავბოლოთ ვფლანგავდი ფულებს, მაგრამ მაინც იმდენი მქონდა, რომ არ ვიციდი რა მექნა მათთვის, მაგრამ ჰოი საოცრებავ! სიმდიდრემ სრულიად ვერ დამაკმაყოფილა. მის ნაცვლათ მე შემიპყრო გულის მტრულმა ურავამ, კაეშანმა. მე რომ კეთილი და მოსიყვარულე გულის პატრონი ვყოფილიყავ, სულ ადვილათ შემეძლო მომენახა გამოსავალი ჩემი ოქროს გალიიდან. მაგრამ მე მქონდა ღვარძლიანი გული, ვიყავი ამპარტავანი და მეტის-მეტი თავის მოყვარე და არავის და არაფერს არ თანაუგრძობდი. არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი ადამიანის გაკვირებას და წარმოიდგინე კი, რომ საქმაო იყო მხოლოდ ერთად-ერთი ჩემი სურვილი, რომ უთვალავ ადამიანებს შეშრობოდა თვალბზედ ცრემლი და მე კი ამაში შემეძლო მებოვა ჩემი ცხოვრების აზრი და მიზანი. მაგრამ მე ეს არ ვქენი. ყოველივე საქმე და მეცადინეობა და სამსახური მე მიმანდა წერილმანად და თავის დამამკირებლათ. ამნაირათ არ ვიციდი, რა მექნა და რა დამესახა ცხოვრების მიზნათ. დადგა 1905 წელი და ხალხის გამათავისუფლებელმა მოძრაობამ მეც გამომიყვანა ჩემი წრიდგან. მე გადავიტყვი რევოლიუციის ტალღებში და დავისახე ჩემი თავი ხალხის მხსნელად და იმავე დროს კი არ ვიციდი მისი ნამდვილი საჭიროება და მოთხოვნილება. რევოლიუციის ქარიშხალმა ყოველ კუთხეში დაჰბერა; ადამიანები იტანჯებოდნენ, კვდებოდნენ და მე კი ვიჯედი მდიდრულათ მოწყობილ კაბინეტში ჩემ ახალ გაცნობილ ამხანაგებ შორის და ვამბობდი გამანადგურებელ სიტყვებს მაგრამ არც ეს გავრძელებულა დიდხანს. ერთ შევნიერ ღამეს ყველა ჩემი ამხანაგები დაიქირეს და თავი ციხეში ამოაყოფიეს. მე კი აკანკალებული ხელებით დავწვი ყველაფერი ის, რასაც ცოტა ხნის წინეთ თაყვანს ვცემდი. ასე გათავდა ჩემი გატაცება რევოლიუციით და ისიც თითონ ჩქარა ჩქარა.

ამის შემდეგ საიდგანდაც ჩემი გულის სიღრმეში წამოყო თავი ექვმა, რომ მე გამოუ-

სადეგარი ვარ ამ ცხოვრებისთვის და წარმოვადგენ ხორცმეტს კაცობრიობისას. ეს შეგნება თუმცაღა მოულოდნელათ წარმომიდგა, მაგრამ ის იყო ჰეშმარიტი და ღრმა. ყველაფრის მისწრაფება დამეკარგა და აუტანელი ცხოვრება შემექნა. ისეთ ადამიანის არსებობას ვათრევედი, რომელსაც არც არავინ უყვარს და არც არავის უყვარს. საკვირველი მდგომარეობა იყო. მე თუმცაღა აუარებელი ოქროები მქონდა, მაგრამ ვერც იმით შევძელი ადამიანის სიყვარულის ყიდვა. აუწერელმა ბოლმამ შემიპყრო და რომ რითიმე გავრთობილიყავი დავიწყე სმა. სმაში გავატარე ორი წელი და ბოლოს დავიქანცე, მოვიღაფე. ჩემი აგებულება დასუსტდა. მე მოვიღუნე წელში და ოცდაცამეტი წლის კაცი ამ უმგვანო სმის და ცუდათ გატარებული ცხოვრების წყალობით დმვემსგავსე ოთხმოცი წლის მოხუცს.

ფიზიკურ აგებულების სისუსტეს თან მოყვა აუწერელი ნაღვლიანობა, რომელიც ცოტა ხნით ჩააქრო ლოთობამ. მე ეხლა არაფერს არ ვსვამდი და ჩავიკეტე ჩემ ბინაში მარტოთ მარტო.

ჩემი სული იყო გართული რაღაცას ძებნაში და ჩემი გონება ტყვილ-უბრალოთ ცდილობდა გამოეხატა თავისი ძებნის საგანი რეალურ ფორმაში. და აი ერთ ღამეს, როცა მე დაღალულ-დაქანცული დავეხეტებოდი ჩემს საწოლ ოთახში, როგორც გამთვარული, უცბათ ვსცანი ჩემი ძებნის საგანი...

მევეძებდი ღმერთს! სიყვარულს! იმ ღმერთს, რომელსაც მე ვიცნობდი ბავშობაში და იმ სიყვარულს, რომელიც მან უანდერძა ადამიანებს. დიად, ჩემთვის აუცილებელი საჭირო იყო ეს ორი უმაღლესი გრძნობა: სარწმუნოება და სიყვარული. უამათოთ ცხოვრება ვარდიკეოდა ჩემთვის ერთიან ტანჯვა-წვალებათ.

ამ ნაირათ დაბოლოს, მე ვცანი ეს ჰეშმარიტება და დაუწყე ყოველგან ძებნა ღმერთს, მაგრამ ვერ ვპოულობდი... თავით ჩავეფალი წიგნებში, დავდიოდი ფილოსოფიურ კრებებზე, მაგრამ არც ერთი არ მაქმყოფილებდა. ისინი მიხატავდნ ღვთის სახეს, რაღაც შორეულს, უსიყვარულოს, გაუგებარს, მე კი მწყუ-

როდა მეპოვა ღმერთი ცოცხალი, ის ღმერთი, რომელსაც მე ვცნობდი ბავშობაში და რომელიც მრწამდა და ელოცულობდი.

ჩემ კაბინეტში ეკიდა სურათი, რომელზედაც გამოხატული იყო იესო ქრისტე გეთსამანიის ბაღში და მისი ლოცვა იქ. ეს იყო ერთადერთი ნივთი დედა ჩემისმიერ ნაჩუქარი და სოფლიდგან წამოღებული. უკანასკნელ დრომდი არ მიმიკცევიო ყურადღება, მაგრამ ეხლა, როცა დავიწყე ღვთის ძებნა, მე მთელი საათობით ვიჯედი ამ ხატის წინაშე, გაყინული თვალებით მივჩერებოდი მაცხოვრის ტანჯულ სახეს, მაგრამ ჩემმა გულმა ვერ შესძლო აეხსნა მისი საიდუმლო ლოცვის საგანი.

მე ვცდილობდი გამეგო უსაზღვრო მსხვერპლი ღმერთ-სიყვარულისა. ის იყო ჩემ წინ მიწაზე გათხზული და თავისი სისხლის კრემლებით ასველებდა მას (მიწას). ის ლოცულობდა კაცობრიობის გამოხსნისათვის. მას იგი უყვარდა უსაზღვროთ და მე, მის ძმებნელს კი არასდროს არავინ არ მყვარებია.

სიყვარულის გრძნობა არც ეხლა ღვივოდა ჩემს გულში და ამიტომ ის კეთილიც და ტანჯვა-წვალების მიძღებიც შორს იყო ჩემგან. მე ვერ შევძელ მივეახლოებოდი მას და მისი დიადი სიყვარულისაგან ერთი ნამცეცი მაინც მიმელო; დარწმუნებული ვარ ამ მკირედსაც კი შეეძლო გაებრწყინებია. როგორც მზეს, ჩემი გათახსირებული ცხოვრების გზა.

ამნაირათ, მე ისეთივე დავრჩი, როგორიც ვიყავი მთელს ჩემს ცხოვრებაში. ისეთივე ცივი, უსულ-გულო და ისე ვკვდები, რომ ვერ გავალხვე სიყვარულის გრძნობით ჩემი გული. ასეთია ჩემი მწარე ხვედრი.

არ მინდა მოგატყუო, ჩემო მეგობარო, ვითომც მე გავდიოდე ამ ცხოვრებიდან ამაყათ თავ აწეული, როგორც გმირი. დამერწმუნე, რომ არავინ არ იკლავს თავს ისე, რომ ჩემათ მაინც არ სწუხდეს ამ ქვეყნიურ სიცოცხლისაგან დაშორებას. სიცოცხლე მეტის-მეტათ ძვირფასი განძია, რომ უღარდელათ, უტანჯველათ გამოეთხოვოს მას კაცი, თუნდ თავის ნებითაც კი. ვიტანჯები მეც, მძიმეთ ვიტანჯები და მთე-

ლი ჩემი სულით და გულით მინდა ვიცხოვრო, მაგრამ რისთვის ვიცხოვრო, რას მოვხმარო ჩემი ძალა, ჩემი ქკუა და ჩემი გული?! მე არავისთვის საჭირო აღარ ვარ, ჩემი თავისთვისაც კი.

უკვე გვიანია და მეც ვათავებ წერილის წერას. მარადისობა მიმელის მე. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, და აპატიე ყოველივე შენ უბედურ ამხანავს, სერგოს!

მღ. სვეტრ. კეკელიძე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა კონსისტორიის კანონის შესახებ.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა კონსისტორიის 1910 წელში დაადგინა სამარხი კანონის საქმე. ეს საქმე, როგორც ვიცით, კაი ხანია, რაც გაიგზავნა საქართველო იმერეთის სინოდის კანტორაში განსახილველად და დასამტკიცებლად, მაგრამ ღღმდისაც არ დაბრუნებულა და არც არაინ ხმას იღებს ამასზე. ურიგო არ იქნება, რომ გავახსენოთ კანტორას და მოვითხოვოთ ეს საქმე, იქნება უყურადღებოთაა საქმე მიგდებული, როგორც კერძო საქმე და ხმას არავინ სცემს და სანამდის უნდა უყუროს სამღვდელთა კონსისტორიის ამის შესახებ? ეს ისეთი დაწესებულებაა, რომ, რაც მალე მოესწრება სამღვდელთა კონსისტორიის, ის არის სასურველი და სანატრელი. მისთვის დაადგინა ეს სამღვდელთა კონსისტორიის, რომ ყველასათვის გამოსადეგი იქნეს და ყველას ესარგებლოს და მოესწროს თავის სიკვდილის დროს. ვინ იცის, რა დროს მოუწევს კაცს სიკვდილი, იქნება გროში კაპეიკიც არ დაესწროს ამ დროს და სამარხი კანონის ამისთვის გვიწოდება.

ყველასათვის სამწუხარო და გულსაწყვეტი დარჩება, ვისაც ეს დაუდგენია და სიკვდილის დროს არ მოესწრება და არ ესაშვალება ამით. იქნება არაინ გვიგზავნის ამ საქმეს და უნდა მოვიძიოთ. მთავრობას ხევეწა და ვედრება უნდა, რომ საქმე გაკეთდეს. კარგი იქნებოდა, რომ ამ უკანასკნელ სამღვდელთა კონსისტორიის კრებაზე დეპუტატებს მოელაპარაკებია რამე ამის შესახებ. ეხლა, რადგან ეს საქმე ასეა, საჭიროა ასე მოვიქცეთ: ვსთხოვოთ ყოველად სამღვდელთა კონსისტორიის, ბლაღოჩინების საშუალებით, რომ გვიშუამდგომლოს და მოითხოვოს ეს საქმე. აგერ, ჩვენი მებობელი — გურია სამეგრელოს სამღვდელთა კონსისტორიის კაი ხანია, რაც ამ დაწესებულებით სარგებლობს, დიდი კმაყოფილიც არის და ჯეროვან ზრუნვასაც უწევს.

დიაკ. ნ. ფრუიძე.

თამარ მეფე და ნატვრის თვალი.

(ლეგენდა ვარძიასი გავთხილი).

თამარი, ღვთის მორწმუნე, და წმინდა ქალი იყო. მას ერთი შვილი ჰყავდა ღვთის განგებით, რომელიც მთაზე მწყემსათა იყო. როცა დაზამთრდა მთიდან შინ მოდიოდა, გზაზე წერო დაიჭირა და სახლში მოიყვანა. ერთი წელიწადი ჰყავდა, მერე დაეკარგა. ბევრი ეძიეს, მაგრამ ვეღარ იპოვეს.

მეორე წელიწადს თამარის ვაჟს ხელახლა შეხვდა ის წერო იმავე ალაგას სადაც პირველად შეხვდა და დასაჭირავათ გამოეკიდა. წერომ მალედაგან ნატვრის თვალი ჩამოაგდო. ყმაწვილმა აიღო და უბეში ჩაიღვა. ერთ დღეს ყმაწვილი ბაზარში წავიდა, ერთი ურია შეხვდა და დაუწყო ვაქრობა. პირველად მ თუმანი აძლია, მერე ათი; ასე თანდათან უმატა. და ბოლოს 10,000 აძლია, მაგრამ არ მისცა. შემდეგ ვაჟმა გაიგო, რომ ურები ლაპარაკობდნენ: ეს მისთანა ნივთია, რომ მით წითელი ძროხის რძე ოქროთ გადაიქცევა, თეთრი ძროხის რძე ვერცხლის ფულათ და შავი ძროხის კი შავ ფულათო, ამის გამგონი, ვაჟი მაშინვე სახლში წამოვიდა. ურებმა ბევრი ეძიეს, მაგრამ ვეღარ ნახეს. ეს ახალგაზდა ამ ნატვრის თვალთ რასაც იტყოდა, ყველაფერი გაჩნდებოდა. ამნაირათ დაიჭირეს ბევრი მოჯამაგირეები, გააკეთეს სასახლეები სოფელ ზაყას. იმისთანა ლითონი (?) გააჩინეს, რომ ერთი ბეწვა მიწით ადამიანი რამოდენიმე დღეს ცხოვრობდა. ერთ დღეს ერთი ურია მოვიდა და თამარის მოსამსახურე ანდრუყაფარს სთხოვა ნატვრის თვალი მომყიდეო. მანაც 10 თუმნათ მიყიდა ჩაიგდო თუარა ხელში ნატვრის თვალი, ურიამ სთქვა: „თამარს რაცა აქვს ჩემი იქნესო და გაჩნდეს შვილი ზღვის გადაღმაო“ ამნაირათ რაც ინატრა ურიამ. ყველაფერი შეუსრულდა. დაღარიბდა თამარი. მაშინ ერთი მერცხალი მიფრინდა ურიის სახლში, მოიპარა „ნატვრის თვალი“ და მიუტანა თამარს. თამარმა ამ მერცხალს დაულოცა ზამთარში თბილი კუთხე, ინდოეთი. ხოლო ზაფხულში საცხოვრებელი ბინა მისცა თავის სახლში. ურია დასწყველა და ნადირათ გადაიქცა — დათვით; — შემდეგ ღმერთმა დათვსა და კაცს უთხრა; რომელიც თქვენგანი უმალ მზეს დაინახავს, მას უზრუნველი ცხოვრება მიენიჭება ჩემგან. დილით აღრე მზეს ყურება დაუწყეს. კაცი მინდვრისკენ იყურებოდა, დათვი კი მთისკენ, ამიტომ დათვმა

უმალ დაინახა მზე და დაიძახა: „უფალო მზე დაინახეო“; ამიტომ უზრუნველი ცხოვრება დათვის მიენიჭა. თამარს ნატურის თვალმა დიდი სამსახური გაუწია. მითი ყველაფერ სასწაულს აჩენდა. ბოლოს ერთმა ძლიერმა მეფემ გაიგო და შემოუთვალა, ის ნიეთი, რომელიც შენ გაქს და სასწაულებს აჩენს, მე გამაგზავნეო. თამარმა უარი შეუთვალა, მაშინ მეფემ დიდი ჯარი გამოგზავნა მაგრამ თამარმა შეისყიდა ფულით. შემდეგ ის მეფე გარდაიცვალა და მის მაგიერათ თამარი გამეფდა.

3. თედეზვილი.

მამაო რედაქტორო!

გთხოვთ ამ ჩვენ შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

როგორ არის ჯამაგირების გაყოფა ეკლესიის კრებულზე? წინანდელ წესით ბევრ 200 და 300 კომლ-მრველიან ეკლესიებსაც აქვს დანიშნული ჯამაგირი. ეს მეორე თუ მესამე წელიწადია სამღვდლოების დეპუტატებს მიეცათ უფლება გაყონ ჯამაგირები კანონიერათ. ამათ მკირე მრევლების კრებულის დაკმაყოფილება სცენს კანონიერათ. მკირე მრევლში შრომაც ცოტაა და ერთი მედავითინე-დიდ სამრევლოში მუდმივი სამსახური და ორი მედავითინეა. ორასი კომლიდგან 40 კომლის ყოველგვარი შემოსავალი მიაქვს შტატგარეთ დარჩენილ მედავითინეს; შტატს რჩება 160 კომლი. წასრული 1911 წლის სამღვდლოების კრებაზე მოხდა ამაზე ლაპარაკი: ან ეს 40 კომლი ნუ ჩაეთვლება შტატის კრებულს, ან განვათავისუფლოთ მეორე მედავითინეებისგანო და დაადგინეს, რომ გადაყვანილ იქნენ, როცა შტატში ამოჩნდება თავისუფალი ადგილი.

ნათქვამია, პეტრეს მოსვლამდის პავლეს ტყავი გააძვრესო. მედავითნე მიღღემში არ ითხოვს გადასვლას სხვაგან, თუ ეს შემოსავალი ექნა, რადგან სამსახურშიდაც ნახევარჯელ თავისუფალია ამხანაგის იმედით.

მღ. ლ. როფაქიძე.

მადლოვის გამოცხადება.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „შინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ჩემი და ჩემი კრებულის მხრით

შემდეგ პირებს, რომლებმაც რწმუნებულ ჩემდამო თეკლათის დედათა მონასტრის შკოლის წმ. ნინოს ეკლესიას შემოსწირეს:

1. უსახელომ 25 მან., 2. კნ. ნატალია ნიქარაძის ასულმა ერისთვისამ 60 მან., 3. კნ. ნინო ამილახვარისამ 10 მან., 4. ბაგრატიონ მუხრანკისამ 10 მან., 5. კნ. ალექსანდრა მაკარის ასულმა მელიქოვისამ 6 მან., 6. კნ. მარია ორბელიანისამ 5 მან., 7. კნ. დარია დადიანისამ 5 მან., 8. კნ. სოფიო მხეიძისამ 5 მან., 9. კნ. ნინო ჩიჩუას ასული მიქელაძისამ 5 მან., 10. კნ. (ნინო) პუპი მიქელაძისამ 3 მან., 11. კნ. სალომე ჩიქოვანისამ 10 მან., 12. კნ. ალექსანდრა ჩიქოვანისამ 3 მან., 13. კნ. ელენე წულუკიძისამ 3 მან., 14. კნ. ტერეზია შარვაშიძისამ 5 მან., 15. კნ. მარიამ ანჩაბაძისამ 3 მან., 16. კნ. ელენე ფალავასამ 2 მან., 17. კნ. ნ. გელოვანისამ 2 მან., 18. კნ. თამარა ჩიქოვანისამ 2 მან., 19. კნ. მატრონა წერეთლისამ 1 მან., 20. კნ. ელისაბედ წერეთლისამ 2 მან., 21. კნ. მარიამ შარვაშიძისამ 2 მან., 22. კნ. წისა შარვაშიძისამ 1 მან., 23. კნ. ჰადუ მარშანიასამ 3 მან., 24. კნ. საშა მარღანიასამ 1 მან., 25. კნიაჟნა ნინო მაკავეის ასულმა 2 მან., 26. კნ. ანნა წერეთლის ასულმა 1 მან., 27. ქ-ნი კატო დგებუაძის ასულმა მკედლიძისამ 15 მან., 28. ქ-ნი ნინო კახიძისამ 3 მან., 29. ქ-ნი მინადორა ეგნატეს ასული ხოშტარიამ 5 მან., 30. ქ-ნი ნოტიო ბახვას ასული ლოლუამ 5 მან., 31. ქ-ნი ლისა საბახტარი-შვილისამ 5 მან., 32. ქ-ნი ვასასი ყვანისამ 5 მან., 33. ქ-ნი ეფროსინე ხუმარაძემ 3 მან., 34. ქ-ნი ელენე გაბუნისამ 5 მან., 35. ქ-ნი ნინო ტურკიასამ 3 მან., 36. ქ-ნი სოფიო დვალისვილისამ 1 მან., 37. ქ-ნი მარია ჩაჩავამ 1 მან., 38. ქ-ნი მატო ხუფერიასამ 1 მან., 39. ქ-ნი პაშა იოსელიანმა 1 მან., 40. ქ-ნი ფედოსია გეგენავამ 3 მან., 41. ქ-ნი ნინო ანშიბაიას ასული ხუბუტიასამ 2 მან., 42. ქ-ნი ფატი ახვლედიანისამ 1 მან., 43. ქ-ნი მარია დიდიამ 1 მან. 50 კ., 44. ქ-ნი ნინო კემულარიასამ 10 მან., 45. ქ-ნი ვასილისა ლოლუას ასული სანაიამ 3 მან., 46. ქ-ნა აგრაფინა ხუნწარიამ 1 მან., 47. ქ-ნი დესპინე ქირიამ 3 მან., 48. ქ-ნი ზება საყვარელიძისამ 1 მან., 49. ქ-ნი ნინო მდიენისამ 1 მან., 50. ქ-ნი მარია ცხომელიძისამ 1 მან., 51. ქ-ნი სალომე ქიქინაძისამ 3 მან., 52. ქ-ნი უსარსანი ლოლუამ 3 მან., 53. ქ-ნი ივლიტასამა-

შვილმა 1 მან., 54. ქ-ნი მარია მარლანამ 1 მან., 55. მონაზონი ელისაბედმა 1 მან., 56. თ-ლი ოტიე ი. დადიანმა 3 მან., 57. თ-ლი ივანე დადიანმა 5 მან., 58. თ-ლი ბესარიონ მხეიძემ 3 მან., 59. თ-ლი პეტრე ერისთავმა 3 მან., 60. თ-ლი დადიანმა 10 მან., 61. თ-ლი იოსებ 1 მან., 62. თ-ლი არჩილი ვალერიანს ძე სიღომონოვი ერისთავი 3 მან., 63. თ-ლი ტუტუ ჩიკოვანმა 1 მან., 64. ირაკლი ქაიხოსროს ძე კალანდარაშვილმა 2 მან., 65. თ-ლი კოლია მხეიძემ 2 მან., 66. პეტრე მაღნარაძემ 1 მან., 67. დუტუ ხარბელიამ 120 მან., 68. ფარნა გვიჩიამ 1 მან. 50 კ., 69. ვიკტორ გაბუნამ 1 მან., 70. ალექსანდრე გუნამ 1 მან. 71. აქსენტი გულუამ 1 მან., 72. იოსებ კემულარიამ 9 მან., 73. პეტრე დგებუაძემ 2 მან., 74. ალექსანდრე გვიჩიამ 3 მან., 75. იაკობ ჯორჯიკიამ 3 მან., 76. კორხაიამ 5 მან., 77. სპირიდონი ლოსაბერიძემ 2 მან., 78. ესტატე კერესელიძემ 5 მან., 79. დავითი წერეთელმა 1 მან., 80. გრიგორი ჩაჩიბაიამ 3 მან., 81. ვარლამი გაბუნამ 1 მან., 82. გაიოზ ქავთარაძემ 1 მან. 83. სოლომონი გაბუნამ 1 მან., 84. ასათიანმა 1 მან., 85. ვლადიმერი წერეთელმა 1 მან., 86. სერიოჟა გაბუნამ 1 მან., 87. იოსევი გველესიანმა და ერასტი კი-ქინაძემ 10 მან., 88. გიორგი უცხოველმა 1 მან., 89. დათიკო ჩიკოვანმა 2 მან., 90. კ. თოფურიძემ 2 მან., 91. მღივანმა 3 მან., 92. ილარიონი დოლიძემ 2 მან., 93. გიორგი თვა-ლავაძემ 3 მან., 94. ივანე ნ. ძიძიგურმა 5 მან., 95. პავლე ნ. ძიძიგურმა 5 მან., 96. ან-დრო ძიძიგურმა 1 მან., 97. გრიგორი მუმუ-ლიამ 1 მან., 98. კონსტანტინე ჯანჯღავამ 2 მან., 99. კ. შიქაძემ 1 მან., 100. ალექსი კა-ქარაიამ 3 მან., 101. ლევან და ნიკო სიქინა-ვებმა 3 მან., 102. შენგელიამ 1 მან., 103. ილარიონი მაღლაკიძემ 1 მან., 104. ანდრი რევეიამ 1 მან., 105., ალექსანდრე გაბელიამ 1 მან., 106. სამსონ აღანიამ 1 მან., 107. თომა სანიკიძემ 1 მან., 108. ილია იაკის ძე იაკიმიდი 1 მან., 109. რაედენ დვალი-შვილი 1 მან., 110 მარკოზ ხუნწარიამ 1 მან., 111. ნიკო შონიამ 1 მან., 112. უშანგი

კიტამ 1 მან., 113. დიონოზი ხორავამ 1 მან., 114. ეპიფანე ასათიანმა 2 მან., 115. ფარნა გაბუნამ 1 მან., 116. მინა ახვლედიანის ასულმა 2 მან., 117. ნ. გოგვაძემ 3 მან., 118. სამსონ დოლიძემ 1 მან., 119. მურზა დუდუჩავამ 1 მან., 120. ბარნაბა თოხაძემ 1 მან., 121. გიორგი ცომაიამ 1 მან., 122. ქ-ტონი ეენია ღზიუბენკო 3 მან., 123. სიმონი გაბელიამ 1 მან., 124. მაქსიმე მისაბი-შვილმა 1 მან., 125. № საყვარელიძემ 1 მან., 50 კ., 126. კარლო ჩიჩუამ 1 მან., 127. გერასიმე ხარებავამ 2 მან., 128. ბეგ-ლარი შენგელიამ 1 მან., 129. სილიბისტრო კვატაძემ 3 მან., 130. ვასილი ჩაჩიბაიამ 5 მან., 131. ვასო კუცავამ 1 მან., 132. ათანასი ქანტურიამ 1 მან., 133. რომანოზი ცომაიამ 1 მან., 50 კ., 134. ირაკლი ქანტურაიამ 1 მან., 50 კ., 135. ისიდორე სალაგავამ 1 მან., 50 კ., 136. ყარამანი გეგეჟკორმა 1 მან., 50 კ., 137. ბესარიონი ტყაბუჩავას, რემანოზი ცომაიას და ირაკლი ქანტურიას შემწეობით აბაშის ვაჭრებმა შე-მოსწირეს 12 მან. 138. ანდრი ლინჯიამ 1 მ. იგუმენია ნინო

წინამძღვარი თეკლათის დეათა მონასტრის.
1912 წ. 13 იანვ.

რედაქტორი, მღვდელი **ს. მხედლიძე**.
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

განცხადება

„რუსის სხვაოსნო და სავაჭრო საზო-გადიების“ სააგენტოში (Русское Общ. Пароход. и Торговли.)
ვარანცოვის ქუჩაზე, გაბუნას სხადში 19 აბა თეებრუვალს მოხდება სავაჭრო ვაჭრობა სუთ ცნლ უვართლეულობის საქონელზე, რომელიც გამოცხვენილია მოსკოვიდან ქუთაისს კონოსაძეუთ № 2300 და რომელიც პეტროსს არ გამოუხეიდა.

ქ. ქუთაისი, სტამბა „მშობისა“. კახაკოვის შესახვევში, სახლი № 17.